

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი
კერძო სამართლის მიმართულება
მარი სულაძე

საარბიტრაჟო პროცესის ძირითადი თავისებურებანი
ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
გიორგი ცერცვაძე

თბილისი, 2019

სარჩევი

აბსტრაქტი.....	4
შესავალი.....	5
თავი 1. საარბიტრაჟო პროცესი.....	7
1.1. საარბიტრაჟო სამართლის ჩამოყალიბების მოკლე ისტორია, ცნება.....	7
1.2. საარბიტრაჟო სასამართლოს სისტემა, შემადგენლობა, სტრუქტურა და ფუნქცია	13
1.3. საარბიტრაჟო პროცესის პრინციპები	19
1.4. საარბიტრაჟო პროცესის სისტემა - საარბიტრაჟო პროცესის სტადიები.....	23
თავი 2. საარბიტრაჟო პროცესის მონაწილეები.....	29
2.1. მონაწილეები: კონცეფცია და ტიპები	29
2.2. საარბიტრაჟო სასამართლო როგორც განსახილველი საქმის სუბიექტი.....	30
2.3. მხარეები საარბიტრაჟო პროცესში	31
2.4. მესამე პირები.....	32
2.5. წარმომადგენლები.....	33
2.6. სხვა პირები	34
თავი 3 - მტკიცება და მტკიცებულებები საარბიტრაჟო პროცესში.....	36
3.1. სასამართლო მტკიცებულებათა ცნება	36
3.2. მტკიცების საგანი	38
3.3. მტკიცების პროცესი.....	38
3.4. მტკიცების სხვა საშუალებანი	41
თავი 4 - დროებითი ღონისძიებები	43
4.1. დროებითი ღონისძიებების კონცეფცია, ცნება, შინაარსი, საფუძვლები, და გამოყენების პროცედურა საარბიტრაჟო პროცესში	43
4.2. დროებითი ღონისძიებების ჩანაცვლება და გაუქმება.....	45
4.3. წინასწარი დროებითი ღონისძიებები	46
თავი 5 - საარბიტრაჟო სასამართლოს ხარჯები, ჯარიმები.....	47
5.1. სასამართლოს ხარჯები.....	47
5.2. სახელმწიფო ბაჟი	48
5.3. დამატებითი ხარჯები	48
თავი 6 - საარბიტრაჟო პროცესის ვადები	50
6.1. საპროცესო ვადები, საპროცესო ვადის ათვლა	50
თავი 7 - საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება	52
7.1. ცნობისა და აღსრულების სამართლებრივი შინაარსი	52

7.2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები.....	53
7.3. სასამართლო პრაქტიკა.....	56
დასკვნა.	60
ბიბლიოგრაფია	61

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია არბიტრაჟის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების, სამართლებრივი ბუნება და მისი თავისებურებანი. თანამედროვე მსოფლიოში საარბიტრაჟო ინსტიტუტის გამოყენებამ საკმაოდ მასშტაბური ხასიათი მიიღო, თუმცა პრობლემას წარმოადგენს თავად არბიტრაჟის ინსტიტუტის კვალიფიციურობისა და მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების და სამართლიანობის საკითხი.

საქართველოში არბიტრაჟის ინსტიტუტი არც ისე დიდი ხანია დაარსდა და მხოლოდ ბოლო რამდენიმე წელია, რაც აქტუალობა მოიპოვა. რასაკვირველია, შედარებით ნაკლები გამოცდილების მქონე არბიტრაჟში უფრო მაღალია რისკი არაკვალიფიციურობისა, ამიტომაც არის ასეთი აქტუალური არბიტრაჟის კვალიფიციურობისა და სამართლიანობის საკითხი დღევანდელ დღესაც. ვფიქრობ, რომ გამოსაკვეთია ის უპირატესობანი, რაც მას გააჩნია საერთო სასამართლოებთან შედარებით, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ინტერესს ამ ინსტიტუტის მიმართ და გამომდინარე აქედან ვფიქრობ, რომ აღნიშნული თემატიკის შესწავლა, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული კუთხით იქნება გამოცდილების შემძენი.

შესავალი

ბოლო დროინდელი ქართული რეალობა ასოცირებულია საზოგადოების ეკონომიკურ და სამართლებრივ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებთან. ქართული ეკონომიკა გარდაიქმნა საბაზრო ურთიერთობების სისტემად საკუთრების სხვადასხვა ფორმის არსებობით, კერძო ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებით, მეწარმეობის განვითარებით ფიზიკური და იურიდიული პირების მონაწილეობით. აღნიშნული პროცესების სრულფასოვანი წარმართვისთვის ერთ-ერთი ძირითად ფაქტორს წარმოადგენს სამართლებრივი ინტეგრაცია. ბიზნესმენებისთვის, პარტნიორებისა და უცხოელი ინვესტორებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მოწესრიგებული, საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა. ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დავის გადაწყვეტის ეფექტური სისტემის დამკვიდრებას, რომელიც ხელს შეუწყობს მიმზიდველი ბიზნესგარემოს შექმნას. ეკონომიკური ურთიერთობების ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტების მოგვარებისას განსაკუთრებულ როლს თამაშობს საარბიტრაჟო სასამართლოები. კერძოდ, საარბიტრაჟო სასამართლოების სისტემა ხელს უწყობს პარტნიორული საქმიანი ურთიერთობების წარმოქმნასა და კანონის უზენაესობის განვითარებას ეკონომიკურ საქმიანობაში.

რას წარმოადგენს კერძო არბიტრაჟი და რა უპირატესობა გააჩნია მას საერთო სასამართლოებთან შედარებით? დღევანდელ პირობებში ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან სასამართლოებში განსახილველ საქმეთა დიდი ოდენობაა და მხარეებს ხანგრძლივი დროის მანძილზე უწყვეტ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების ლოდინი, რაც დამატებით ხარჯებთან და დროსთანაა დაკავშირებული. ყოველივე ამის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები, თუ არსებობს მათ შორის საარბიტრაჟო შეთანხმება, მიმართავენ კერძო არბიტრაჟს, რომლის წევრებსაც თავად ირჩევენ. მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს კანონის მიერ მინიჭებული თავისუფლება საარბიტრაჟო დავისთვის არბიტრის დამოუკიდებლად მხარეების მიერ არჩევა, ვინაიდან დავის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება მხარეებს შეუძლიათ მიანდონ ისეთ ადამიანს, ვის პროფესიონალიზმსა და ობიექტურობაში ეჭვი არ ეპარებათ. ეს გარემოება განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს, როცა დავა სპეციფიკური საკითხების ცოდნას მოითხოვს, მაგალითად, ეკონომიკური, საზღვაო ან სამშენებლო დავები, სადაც იურიდიულ განათლებაზე მნიშვნელოვანი სწორედ ამ სპეციფიკური დეტალების ცოდნაა საჭირო. ასეთი სპეციფიკური ცოდნა კი მოსამართლეებს ხშირ შემთხვევაში არ აქვთ.

1997 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“. ამ კანონის პირველი მუხლის თანახმად, პირებს შორის წამოჭრილი სამოქალაქო დავა მათივე შეთანხმებით შეიძლება განსახილველად გადაეცეს მუდმივმოქმედ ან ამ

დავისთვის საგანგებოდ შექმნილ დროებით კერძო არბიტრაჟს.¹ აღსანიშნავი გარემოებაა, რომ 2015 წლის საკანონმდებლო ცვლილებებმა კანონში მნიშვნელოვანი სიახლეები შეიტანა, კერძოდ, კანონის ახალი ვერსიით საარბიტრაჟო დავას მხარეები შეთანხმების საფუძველზე ირჩევენ. ამასთან, ხელშეკრულებაში თავიდანვე უნდა იყოს გაწერილი თუ ვინ განიხილავს მას. ზემოთხსენებული 1997 წლის კანონი მხოლოდ ზოგადად მიუთითებდა არბიტრაჟის მიერ დავის განხილვის შესაძლებლობაზე. თუმცა საზოგადოების მხრიდან დაბალი ნდობისა და არბიტრთა მწირი გამოცდილების გამო ამ ინსტიტუტს არც თუ ისე ხშირად მიმართავენ. იურისტების ნაწილს კი საერთოდაც მიაჩნია, რომ საქართველოში კერძო არბიტრაჟს განვითარების პერსპექტივა არ აქვს.

როგორც აღვნიშნე, არბიტრაჟი საქართველოში 1997 წლიდან ფუნქციონირებს და ამ 22 წლის მანძილზე საკმაოდ დიდი გზა გაიარა. ვფიქრობ, რომ ამჟამად საჭიროა შევაფასოთ არბიტრაჟის არსებული მდგომარეობა და განვითარების ფარგლები. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ მიზანს ემსახურება. იგი საშუალებას მისცემს პრაქტიკოს იურისტებს, დაინტერესებულ პირებს, დონორებსა და სტუდენტებს უკეთ აღიქვან არბიტრაჟის არსი და მიღწევები, გამოწვევები და შესაბამისად გამოკვეთონ მისი განვითარების პერსპექტივები.

ვფიქრობ, რომ არბიტრაჟის დასამკვიდრებლად მნიშვნელოვანია, გამოვკვეთოთ ის უპირატესობანი, რაც მას გააჩნია საერთო სასამართლოებთან შედარებით. საერთაშორისო კონტექსტში (საერთაშორისო დავებში) არბიტრაჟის უნიკალურობასა და ეფექტიანობას განაპირობებს მისი ნეიტრალობა და სწორედ ამიტომ საერთაშორისო დავებში არბიტრაჟი არის უალტერნატივო და საერთო სასამართლოები მას კონკურენციას ვერ უწევენ. მამასადამე, საჭიროა, რომ არბიტრაჟმა გამოძებნოს თავისი უპირატესობა, რითიც იგი გახდება სასამართლოზე მომხიბვლელი. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამგვარი ელემენტები შეიძლება იყოს არბიტრაჟის სისწრაფე, არბიტრის კვალიფიკაცია კონკრეტულ სპეციფიკურ საკითხში და შესაძლებლობა მხარეებმა თავად აირჩიონ ვინ გადაწყვეტს დავას. ამ უპირატესობათა წარმოსაჩენად კი საჭიროა დღევანდელ დღისწესრიგში არსებული ხარვეზების (უნდობლობა, დაბალი ცნობადობა, ცნობა-აღსრულების ეტაპზე გახანგრძლივებული ვადები) აღმოფხვრა. და რა თქმა უნდა აუცილებელია სათანადო ინფორმაციის მიწოდება არბიტრაჟის კონკრეტული მომხმარებელისთვის. მოსალოდნელია, რომ ამ პროცესს დასჭირდება დრო ,თუმცა წინამდებარე ნაშრომში ვეცდები, წარმოვაჩინო საარბიტრაჟო პროცესის თავისებურებანი, რაც საინტერესოს და მიმზიდველს ხდის მას.

¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, ვ. ხრუსტალი, თ. ლილუაშვილი, გვ.25, 2007 წ.

თავი 1. საარბიტრაჟო პროცესი

1.1. საარბიტრაჟო სამართლის ჩამოყალიბების მოკლე ისტორია, ცნება

„არბიტრაჟის ცნების ჩამოყალიბების მცდელობები სავსაშუალოდ ბევრია. ევროპის კონტინენტზე არსებული სამართლებრივი ტრადიციის შესაბამისად იურიდიულ ლიტერატურაში მიღებულია აბსტრაქტული განსაზღვრებების ჩამოყალიბება და არბიტრაჟის არსებით მახასიათებლებზე ყურადღების გამახვილება.“²

„მაგალითად, ბერგერის მიხედვით არბიტრაჟი შეიძლება განისაზღვროს, როგორც დავების გადაწყვეტის კონკრეტული მექანიზმი, რომელიც იქმნება ორ ან მეტ მხარეს შორის არსებული ხელშეკრულების შესაბამისად, ამ ხელშეკრულებით მხარეები თანხმდებიან, რომ არბიტრების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საბოლოო იქნება. გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იყოს სამართლიანი და თანასწორუფლებიანი პროცესის შედეგად და უნდა ექვემდებარებოდეს იძულებით აღსრულებას.“³

თანამედროვე კომერციული არბიტრაჟი თავდაპირველად ჩამოყალიბდა ევროპაში, შუა საუკუნეებში. ვაჭრები ხშირად დიდ მანძილზე მოგზაურობდნენ იმ ბაზრამდე, სადაც ყიდულობდნენ და ყიდიდნენ საქონელსა და მომსახურებას. რამდენადაც მოგზაურობა სახიფათო და ძვირადღირებული იყო, დავები საჭიროებდა დროულ გადაწყვეტას და თანაც საჭირო ადათ-წესების გათვალისწინებას, თუმცა მუდმივმოქმედი, ადგილობრივი სასამართლოები ვერ ახერხებდნენ დავების სწრაფ გადაწყვეტას. გარდა ამისა, მათ არაფერი ესმოდათ დარგობრივი საჭირო სტანდარტების შესახებ, არადა მათი გათვალისწინება მნიშვნელოვანი იყო, რადგან ისინი მიმართული იყო სწავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობაზე იმ მხარეთა შორის, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანასა და კულტურას წარმოადგენდნენ. შესაბამისად, სასამართლოებთან დაკავშირებული გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ვაჭრებმა შექმნეს კერძო არბიტრაჟები, რომელთაც შეეძლოთ დავების ეფექტურად გადაწყვეტა, ხშირად დარგობრივი ექსპერტებისა და დარგობრივი სტანდარტების ჩართვით. როდესაც მეჩვიდმეტე მეთვრამეტე საუკუნეებში ინგლისელი კოლონისტები ამერიკაში დამკვიდრდნენ, მათ იქ არბიტრაჟის ევროპული მოდელები შეიტანეს. მას შემდეგ, არბიტრაჟი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კომერციული დავების გადაწყვეტაში ამერიკის ინგლისურ კოლონიებში. 1768 წელს პირველი მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო ორგანიზაცია შეიქმნა ნიუ იორკის სავაჭრო პალატის მიერ. გადმოცემის თანახმად, ამერიკის პირველმა პრეზიდენტმა ჯორჯ ვაშინგტონმა შეიტანა არბიტრაჟის მუხლი საკუთარ ანდერძში, იმ შემთხვევაში თუ ადგილი ექნებოდა დავას მის მემკვიდრეებს შორის. თუმცა იმ დროს აშშ-ს სასამართლოებში, ისევე როგორც სხვა ქვეყნების

² „საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები“- გ.ცერცვაძე, თბილისი 2008 წ., გვ. 16

³ იხ. აქვე „საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები“- გ.ცერცვაძე, თბილისი 2008 წ., გვ. 16

უმრავლესობაში არ ხდებოდა არბიტრაჟის გადაწყვეტილებების აღსრულება და ამგვარად, არბიტრაჟი განყენებული იყო სასამართლო სისტემისგან.⁴

გავრცელებულია მოსაზრება, რომ არბიტრაჟის ინსტიტუტი საბოლოო სახით მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა, თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებებიც. ლონდონის საერთაშორისო არბიტრაჟმა დავების განხილვა ჯერ კიდევ 1892 წლიდან დაიწყო. საარბიტრაჟო ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში დიდი გარდატეხა მოახდინა საერთაშორისო სავაჭრო პალატის დაარსებამ პარიზში, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. გარდა ამისა, 1923 წელს მიღებულ იქნა ჟენევის ოქმი და 1927 წელს ჟენევის კონვენცია. მეოცე საუკუნეში, დასავლეთში არბიტრაჟების დატვირთვა არსებითად გაიზარდა. მრავალი ქვეყნის სასამართლომ დაიწყო არბიტრაჟის, როგორც დავების გადაჭრის ლეგიტიმური და საინტერესო მეთოდის დანერგვა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ფედერალურმა არბიტრაჟის აქტმა (FAA), რომელიც 1925 წელს იქნა მიღებული, შესაძლებელი გახდა არბიტრაჟის მუხლების ამოქმედება და აღსრულება კომერციულ კონტრაქტებში. სხვა ქვეყნებმა მალე მიბაძეს მის მაგალითს, რასაც მოჰყვა საარბიტრაჟო ორგანიზაციების ზრდა მთელს მსოფლიოში.

1923 წელს საერთაშორისო სავაჭრო პალატამ პარიზში დააარსა არბიტრაჟის საერთაშორისო სასამართლო, რომელიც გახდა ერთ-ერთი საუკეთესო და წამყვანი საარბიტრაჟო ორგანიზაცია მსოფლიოში.

ამას მოჰყვა ისეთი კონვენციების მიღება, როგორცაა: ნიუ-იორკის კონვენცია (1958), ვეროპის კონვენცია (1961), ვაშინგტონის კონვენცია (1965) და სხვა.

„არბიტრაჟის პოპულარობის ზრდამ სახელმწიფოები მიიყვანა მის რეგლამენტაციამდე, არა მხოლოდ საერთაშორისო, არამედ შიდა სახელმწიფოებრივ დონეზე. სწორედ ნაციონალური სამართალი განაპირობებს არბიტრაჟის მნიშვნელობისა და ეფექტურობის ხარისხს.“⁵

„არბიტრაჟისადმი დამოკიდებულება XX საუკუნის პირველ ნახევარში გარკვეულწილად სკეპტიკურიც იყო. პროფ. ვოლფი თავის ცნობილ სახელმძღვანელოში წერდა: „ საარბიტრაჟო სასამართლოები არ წარმოადგენენ „სასამართლოებს“ ამ სიტყვის მკაცრი გაგებით, რადგან მათი აღსრულება დამოკიდებულია იმ ქვეყნის სასამართლოს ბრძანებაზე, რომელშიც ეს გადაწყვეტილებაა გამოტანილი.“ მოსამართლე იგი გერმანულ არბიტრაჟებთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ „ ისინი მკვდრადშობილნი არიან ნებისმიერი პრაქტიკული მიზნებისთვის მანამ, სანამ სასამართლო არ მიანიჭებს მათ სიცოცხლისუნარიანობას“ ასეთი შეფასება ოდნავ გადაჭარბებულად, მაგრამ მაინც

⁴ „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“- ნ.ფიცხელაური,თბილისი 2015 წ., გვ.46

⁵ აქვე: „ ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“- ნ.ფიცხელაური,თბილისი 2015 წ., გვ. 47

ობიექტურად უნდა ჩაითვალოს იმ დროისათვის, როცა არ არსებობდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების საერთაშორისო გარანტიები.⁶

აღსანიშნავი გარემოებაა, რომ ყოველთვის ივარაუდება, რომ მხარეები კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულებენ ხელშეკრულებას. თუ ასეთი შესრულება არ ხორციელდება, მაშინ მეორე მხარეს აქვს უფლება სასამართლო წესით მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულების შესრულება და ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ვერ აღსრულდება ისე, როგორც საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება, თუმცა ასეთი გადაწყვეტილების არსებობაც კი საკმარისი სამართლებრივი საფუძველია მხარეებისთვის, რათა მათ მიმართონ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით. დღეს, საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობა სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის საფუძველი არ არის, მაგრამ არის საფუძველი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების.⁷

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიცვალა მიდგომა არბიტრაჟის მიმართ როგორც საკანონმდებლო, ისე საერთაშორისო დონეზე და შეიქმნა სტაბილური სამართლებრივი ბაზა, რომელმაც არბიტრაჟს პოპულარობა და საყოველთაო აღიარება მოუპოვა.

საქართველომ პირველი კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ 1997 წელს მიიღო. აღნიშნული კანონის მიღება გახლდათ საბჭოთა კანონმდებლობისგან სრულიად განსხვავებული და დამოუკიდებელი საარბიტრაჟო კანონმდებლობის მიღების პირველი მცდელობა. 1997 წლის კანონს ბევრი ხარვეზი ჰქონდა, რომლებმაც განაპირობა კანონში ცვლილებების შეტანა და დღევანდელი სახით მისი დამკვიდრება:

კანონის თანახმად, მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულებები საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონით დადგენილი წესით უნდა ჩამოყალიბებულიყო.⁸ სწორედ ამ მიზეზით არის გამოწვეული ის ფაქტი, რომ დღესაც საარბიტრაჟო დაწესებულებათა უმრავლესობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით არის რეგისტრირებული და არა როგორც არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირი, იმ ქვეყნების მსგავსად, სადაც არბიტრაჟი განვითარებულია;

ზემოთხსენებული კანონის 42-ე მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება თავად არბიტრის თავმჯდომარის მიერ გაცემული სააღსრულებო წარწერის საფუძველზე ხდებოდა და ამდენად, არბიტრაჟის გადაწყვეტილება არ ექვემდებარებოდა სასამართლოს კონტროლს, რამაც არბიტრაჟი „უკანონო მართლმსაჯულების“ განხორციელების საფრთხის წინაშე დააყენა;

⁶ „საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები“- გ.ცერცვაძე, თბილისი 2008 წ., გვ. 15

⁷ აქვე: „საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები“- გ.ცერცვაძე, თბილისი 2008 წ., გვ. 16

⁸ საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ 1997 წ., მუხლი 7.1

ამავდროულად, 1997 წლის კანონი სასამართლოებს უფლებას აძლევდა, გარკვეული შემთხვევების დროს „შეეცვალათ“ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები მხარის მოთხოვნის საფუძველზე.⁹

ზემოთხსენებული მიზეზების გამო, არბიტრაჟის მომხმარებლებს (ბიზნეს სექტორსა თუ კომერციულ სუბიექტებს) არბიტრაჟზე მცდარი წარმოდგენა ჩამოუყალიბდათ, რაც გარკვეულწილად დღესაც დიდ როლს თამაშობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ამ სფეროს უკეთ რეგულირება, ამიტომ 2010 წლის იანვრიდან ამოქმედდა ახალი კანონი არბიტრაჟის შესახებ. აღნიშნულ კანონში კონკრეტულად და ზედმიწევნით არის მოცემული შემდეგი საკითხები: საარბიტრაჟო შეთანხმება და მისი ფორმები, არბიტრაჟის შემადგენლობა, მათი დანიშვნისა და აცილების წესი და პროცედურა, არბიტრაჟის უფლებამოსილება, უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების წესები და პირობები, საარბიტრაჟო განხილვასა და პროცესთან დაკავშირებული საკითხები და ნიუანსები, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღებასთან, გაუქმებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები.

ამ პირობების ჩამონათვალში, რის საფუძველზედაც სასამართლოს შესაძლებლობა მიეცა გააუქმოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ასევე შესულია UNCITRAL სამოდელო კანონის მიერ გათვალისწინებული საჯარო წესრიგისა და იმპერატიული ნორმების პრინციპები.

2015 წლის საკანონმდებლო ცვლილებებმა რამდენიმე ძირითადი გარდატეხა მოახდინა: 1. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულება დაუქვემდებარა სასამართლოს; 2. კანონით ამომწურავად განისაზღვრა საფუძვლები, რომელთა გამოც შეიძლება მოხდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გაუქმება; 3. დამკვიდრდა საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის მიმართ მოთხოვნები; 4. სასამართლოს შეეზღუდა ჩარევა არბიტრაჟთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არბიტრაჟს საკმაოდ მძიმე წარსული ჰქონდა. თუმცა ბოლო დროინდელმა საკანონმდებლო ცვლილებებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია და არბიტრაჟი ნელნელა ადგილს იმკვიდრებს საქართველოს სამართლებრივ სივრცეში.

რას წარმოადგენს თავად არბიტრაჟი? „საარბიტრაჟო სამართლისა და საარბიტრაჟო სასამართლოს ერთიანი, ყოვლად აღიარებული დეფინიცია არ არსებობს. არბიტრაჟის ერთიანი ცნების ჩამოყალიბება შეუძლებელია. საჭიროა მხოლოდ მისი ძირითადი ნიშნების სისტემატიზაცია. საარბიტრაჟო სამართალწარმოება გავრცელებულია სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთობებში - განსაკუთრებით საერთაშორისო ურთიერთობებში.“¹⁰

⁹ „არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში“, თბილისი 2018 წ., გვ. 9

¹⁰ Baumfalk W., 2002, Erkenntnisverfahren, Vollsferchungsverfahren, Grundzüge des Insolvenzverfahrens, Münster, MBH & Co. KG; P. 5

საქართველოში არბიტრაჟის შექმნის, საარბიტრაჟო წარმოების, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების, აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების წესებს ადგენს საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“.¹¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს. მოკლედ რომ ვთქვათ, არბიტრაჟი წარმოადგენს დავის მოგვარების ალტერნატიულ გზებს შორის ერთ-ერთ ძირითად და ეფექტურ ფორმას. კანონის მიერ წარმოდგენილი ცნების შესაბამისად, არბიტრაჟი განიხილავს ქონებრივ (სამოქალაქო და რიგ შემთხვევებში ადმინისტრაციულ) დავებს, რომელიც წარმოშობილია დავის მონაწილე მხარეებს შორის, თუ კი მათ აქვთ სურვილი სასამართლოს სამ ინსტანციანი განხილვის პროცესის ნაცვლად დავა განიხილოს არბიტრაჟმა, სადაც არბიტრაჟის გადაწყვეტილება ასევე სავალდებულოა მხარეებისათვის, როგორც სასამართლო გადაწყვეტილება, ხოლო თვით დავის განხილვა კი ერთ ინსტანციას მოიცავს. გარდა სამოქალაქო დავებისა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 251-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, განიხილავს დავებს ადმინისტრაციულ ორგანოსთან, კერძოდ კი „ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს“, მოცემული მუხლით კანონმდებლობა შესაძლებელს ხდის, რომ ადმინისტრაციულ ორგანოსა პირს შორის დაიდოს შეთანხმება კერძოსამართლებრივი დავის არბიტრაჟისთვის განსახილველად გადაცემას.

საარბიტრაჟო სასამართლოები განიხილავენ ეკონომიკურ და სხვა დავებს, რომელთა ფარგლები განისაზღვრება შესაბამისი კანონით, რომელიც განამტკიცებს საარბიტრაჟო სასამართლოს უფლებამოსილებებსა და პროცესის მიმდინარეობის წესებს. როგორც აღვნიშნე, ამ კონკრეტული იურისდიქციის საგანი შემოიფარგლება სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური საქმიანობით, ამდენად საარბიტრაჟო სამართალწარმოებას ხშირად ახასიათებენ როგორც „ეკონომიკურ სამართალწარმოებას“.

ის, თუ რას წარმოადგენს ეკონომიკური სამართალწარმოება რთული სათქმელია. მაგალითად, პროფესორი კლუანდროვი დასაშვებად მიიჩნევს ერთიანი ეკონომიკური სამართალწარმოების ფორმირების იდეას, რომლის ძირითად ნაწილს საარბიტრაჟო პროცესულური კანონმდებლობა წარმოადგენს. ჩემი აზრით, საარბიტრაჟო სამართალწარმოება მართლაც ერთიან სისტემას წარმოადგენს (სუბიექტი, საგანი, ზოგადი პრინციპები და საქმიანობის პროცედურული ნორმები), რომელიც არ გამორიცხავს მასში სხვადასხვა დამოუკიდებელი ფორმების არსებობას.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ტერმინით „ ეკონომიკური სამართალწარმოება“ შეიძლება დავახასიათოთ სამართალწარმოება, რომელსაც

¹¹ საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ მუხლი 1.1.

ახორციელებს საარბიტრაჟო სასამართლო, რომელიც ძირითადად განიხილავს ორი კატეგორიისგან შემდგარ საქმეებს: სამოქალაქო-სამართლებრივსა და საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებს, თუ ისინი წარმოიქმნება ბიზნეს ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის დროს. „ეკონომიკური სამართალწარმოება, რომელიც წარმოადგენს სამართალწარმოებას ბიზნეს ან სხვა სამეწარმეო საქმიანობის დროს და რეგულირდება საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ ეკონომიკური დავების მოგვარების გზით, დგას ერთ საფეხურზე საკონსტიტუციო, სისხლის და სხვა სამართალთან ერთად.“¹² თუმცა ეს დახასიათება მაინც პირობითი იქნება, გამომდინარე იქედან, რომ სრული განმარტება იმისი, თუ რომელი საქმიანობაა სამეწარმეო და რომელი არა, არ არის ცხადად ახსნილი, ხოლო მეორე მიზეზი კი ის არის, რომ ეკონომიკურ დავებს განიხილავენ არა მხოლოდ საარბიტრაჟო, არამედ საერთო სასამართლოებიც. მაშასადამე, არსებობს მხოლოდ ერთი რაციონალური საფუძველი ტერმინ „ეკონომიკური სამართალწარმოების“ შესანარჩუნებლად საგანმანათლებლო და სამეცნიერო ლიტერატურაში: როგორც საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ განხორციელებული მართლმსაჯულების სინონიმი, რომელიც ძირითადად განსაზღვრულია საარბიტრაჟო პროცესუალური კანონმდებლობის წესებით. ამიტომ, ეკონომიკური მართლმსაჯულება და ეკონომიკური იუსტიცია შეიძლება ჩაითვალოს საარბიტრაჟო პროცესის, საარბიტრაჟო საქმისწარმოებისა და საარბიტრაჟო სამართლის სინონიმებად. საქმეთა მეორე კატეგორიას, რომლებიც შედის საარბიტრაჟო სასამართლოების იურისდიქციაში, წარმოადგენს ეკონომიკური და სხვა სახის დავები, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული ან სხვა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან, რომლებიც განიხილება ადმინისტრაციული წესით. საარბიტრაჟო სასამართლოები, ისევე როგორც საერთო სასამართლოები, დღევანდელ დღეს განიხილავენ როგორც სამოქალაქო სამართლებრივ ისე ადმინისტრაციულ სამართლებრივი სახის დავებს, ანუ, როგორც პროფესორი იარკოვი ამბობს „ გვევლინებიან როგორც კერძო ისე საჯარო სამართლის სასამართლოებად“.¹³ ეს გარემოება ლიტერატურაში სხვადასხვა ინტერპრეტაციას პოულობს. ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ საარბიტრაჟო სასამართლოები მართლმსაჯულებას ახორციელებენ ორ პროცესუალურ ფორმაში - სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმისწარმოების გზით, სხვები კი მიიჩნევენ, რომ აუცილებელია საუბარი საარბიტრაჟო სარჩელის განხილვის ერთიანი ფორმის გამოყენებაზე, რომელიც მისადაგებული იქნება სხვა კატეგორიის საქმეების განხილვის დროსაც, რომლებიც ადმინისტრაციული თუ სხვა სამოქალაქო ურთიერთობებიდან გამომდინარეობს.

საერთო ჯამში, საარბიტრაჟო პროცესი, ან მართლმსაჯულება ეკონომიკურ საქმეებზე, თავის თავში გულისხმობს საარბიტრაჟო სასამართლოს საქმიანობას განიხილონ და მოაგვარონ ეკონომიკური თუ სხვა სახის დავები, რომლებიც ჩნდება და წარმოიშობა სამეწარმეო თუ სხვა ეკონომიკური საქმიანობის მსვლელობისას. საარბიტრაჟო

¹² Клеандров М.И. - Арбитражный процесс: учебник (institutiones)., 2006 წ., გვ. 104

¹³ Ярков В.В. развитие системы экономического правосудия России сквозь призму общемировых тенденций// актуальные приемы науки и практики коммерческого права., 2005 წ., გვ. 276

პროცესი უნდა მივაკუთვნოთ სამოქალაქო საქმისწარმოების სფეროს, ვინაიდან საერთო სასამართლოების მსგავსად ახორციელებენ სამოქალაქო სამართალწარმოებას. თავის მხრივ საარბიტრაჟო პროცესუალური სამართალი კი წარმოადგენს ნორმათა სისტემას, რომელიც აერთიანებს საქმის განხილვისა და პროცედურულ საკითხებს საარბიტრაჟო სასამართლოში.

1.2. საარბიტრაჟო სასამართლოს სისტემა, შემადგენლობა, სტრუქტურა და ფუნქცია

სხვადასხვა ფუნქციისა და სამართლებრივი შინაარსის მქონე არბიტრაჟების არსებობა ამ ინსტიტუტის განვითარებამ განაპირობა. სხვადასხვა სახის არბიტრაჟების არსებობა გულისხმობს არბიტრაჟის კლასიფიკაციის აუცილებლობას.

იმის მიხედვით, თუ რომელ საქმეებს განიხილავს არბიტრაჟი, ყველას, თუ მხოლოდ კონკრეტული ორგანიზაციის ან სამეწარმეო სუბიექტის წევრებს შორის წარმოშობილ დავებს განასხვავებენ „დახურულ“ და „ღია“ არბიტრაჟებს. ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება არბიტრაჟის სადამფუძნებლო დოკუმენტით.¹⁴ არბიტრაჟი „დახურული“ თუ მისი კომპეტენცია მხოლოდ პირთა განსაზღვრული წრის წარმომადგენლებს შორის დავების განხილვით შემოიფარგლება, ხოლო „ღია“ ეწოდება იმ ტიპის არბიტრაჟს, თუ მას აქვს ნებისმიერ სუბიექტებს შორის წარმოშობილი დავის განხილვის უფლებამოსილება.¹⁵

საყოველთაოდ არის აღიარებული არბიტრაჟების კლასიფიკაცია სავალდებულო და ფაკულტატურ არბიტრაჟებად.

არბიტრაჟი სავალდებულოა, თუ ფაკულტატური, წყდება არა საარბიტრაჟო შეთანხმების, არამედ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სავალდებულობის მიხედვით. საარბიტრაჟო შეთანხმება ნიშნავს მხარეთა ვალდებულებას მიიღონ მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვაში. ამავე დროს, შესაძლებელია, რომ საარბიტრაჟო განხილვა შედგეს და გამოვიდეს შესაბამისი გადაწყვეტილებაც საქმეზე, თუმცა მისი შესრულება მხარეთა შეთანხმების მიხედვით არ იყოს სავალდებულო ხასიათის მონაწილეებისთვის. ამ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილების შესრულებას სავალდებულოობა არ გააჩნია არბიტრაჟი იქნება ფაკულტატური.

შესაძლებელია სამი სახის არბიტრაჟის შექმნა: დროებითი, ანუ საგანგებო არბიტრაჟი, რომელსაც ასევე უწოდებენ ad hoc, ინსტიტუციური ანუ მუდმივმოქმედი არბიტრაჟი და ადმინისტრაციული ანუ შუალედური არბიტრაჟი.

ad hoc არბიტრაჟი იქმნება მხარეების მიერ ერთი კონკრეტული დავის განსახილველად და პროცესის დამთავრების შემდეგ იშლება. ინსტიტუციურ

¹⁴ Ануфриева Л.П. международное частное право, трансграничные банкротства, международный коммерческий арбитраж, международный гражданский процесс, том 3., учебник "БЕК ", Москва 2001, გვ. 150

¹⁵ „საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები“- გ.ცერცვაძე, თბილისი 2008 წ., გვ. 26

არბიტრაჟს რაც შეეხება, მას მყარი და მუდმივი ორგანიზაციული ფორმა აქვს და სხვადასხვა საარბიტრაჟო საქმეს იხილავს.

აღსანიშნავი გარემოებაა, რომ ასეთ კლასიფიკაციას იზიარებს საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“. აღნიშნული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „პირებს შორის წამოჭრილი სამოქალაქო დავა მათივე შეთანხმებით განსახილველად გადაეცემა მუდმივმოქმედ ან ამ დავისთვის საგანგებოდ შექმნილ დროებით კერძო არბიტრაჟს.“

არბიტრაჟის დაყოფა ზემოთხსენებულ კატეგორიებად საყოველთაოდ არის აღიარებული და ეს კლასიფიკაცია გაზიარებულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

დროებითი არბიტრაჟის შესახებ შეთანხმების დადება მონაწილეებს აყენებს დიდი მოთხოვნების წინაშე. ასეთი სახის არბიტრაჟი ბევრ მუშაობას, დიდ გულმოდგინებასა და გამოცდილებას საჭიროებს, სწორედ ამიტომ ხშირად, საერთაშორისო ურთიერთობებში ინსტიტუციური ანუ მუდმივმოქმედი არბიტრაჟი გამოიყენება. იმ საერთაშორისო გარიგებების მონაწილეებისთვის დახმარების გაწევის მიზნით, რომლებმაც გაითვალისწინეს დავების გადაწყვეტა ad hoc არბიტრაჟში, შემუშავებულ იქნა სპეციალური რეგლამენტები საერთაშორისო დონეზე. დღეისთვის ყველაზე პოპულარული ad hoc რეგლამენტებია:

1. ევროპის ეკონომიკური 1963 წლის საარბიტრაჟო რეგლამენტი;
2. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1976 წლის მოწონებული UNCITRAL საარბიტრაჟო რეგლამენტი

ad hoc არბიტრაჟები თავისი პოპულარობითა და ცნობადობით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებიან მუდმივმოქმედ არბიტრაჟებს და ამას თავისი მიზეზები გააჩნია. როგორც წესი, ინსტიტუციური არბიტრაჟების მიერ ორგანიზებული საარბიტრაჟო განხილვების ხარისხი გაცილებით მაღალია, რასაც დაგროვილი გამოცდილება და პროფესიონალების პერმანენტული მუშაობა განაპირობებს. ad hoc არბიტრაჟის შექმნა და ფუნქციონირება დაკავშირებულია კონკრეტულ დავასთან, რომლის დასრულების შემდეგაც არბიტრაჟი წყვეტს ფუნქციონირებას. გარდა ამისა, მუდმივმოქმედი არბიტრაჟები ყოველნაირად ცდილობენ მიმზიდველი გახადონ თავიანთი მომსახურება, რისთვისაც კლიენტებს მომსახურებისა და ანაზღაურების რამდენიმე სისტემას ერთად სთავაზობენ. მართალია, სპონტანური არბიტრაჟი მხარეებს სთავაზობს გაცილებით მეტ მოქნილობას დავის შესაბამისი პროცედურებისა და წესების შემუშავების თვალსაზრისით, მაგრამ ინსტიტუციურ არბიტრაჟს გააჩნია უპირატესობა ad hoc-თან შედარებით. ის უზრუნველყოფს მხარეებისთვის არა მხოლოდ ფორმულირებულ საარბიტრაჟო სამართლებივ წესრიგს, არამედ მათ გააჩნიათ სამდივნო, საკონფერენციო ოთახები და ა.შ. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის გადაწყვეტილების მოქმედება და აღსრულება უფრო ადვილია, რადგან მწელია მეწარმისთვის, რომელსაც სურს სამეწარმეო ურთიერთობებში სერიოზულად აღიქვან, ინსტიტუციური არბიტრაჟის გადაწყვეტილება არ შეასრულოს. უმრავლეს შემთხვევებში მუდმივმოქმედი არბიტრაჟები იქმნებიან სავაჭრო პალატებთან,

ბირჟებთან და ასოციაციებთან და მოქმედებენ საქმეთა წარმოებისთვის დადგენილი საკუთარი წესებით. მუდმივმოქმედი არბიტრაჟების საქმიანობის წესი და ორგანიზაცია ძირითადად მათივე წესდებით რეგულირდება, ამავე წესდებით არის ხოლმე განსაზღვრული ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სტატუსი და მათი ფუნქციები. წესდებასთან ერთად მუდმივმოქმედი არბიტრაჟების არსებობისთვის აუცილებელია საარბიტრაჟო რეგლამენტი.¹⁶

როგორც ზემოთ აღვნიშნე, არბიტრაჟის ერთ-ერთ პრიორიტეტად საერთო სასამართლოებთან შედარებით შეიძლება ჩაითვალოს არბიტრთა სპეციალიზებული ცოდნა კონკრეტულ საკითხში, როდესაც დავა მეტად სპეციფიკურია და კონკრეტული სფეროს ცოდნას საჭიროებს. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად შეიძლება ითქვას, რომ დარგობრივი კუთვნილების მიხედვით ერთმანეთისგან შეიძლება განვასხვავოთ არბიტრაჟები, რომლებიც იხილავენ ყველა სახის დავას, რომელიც შედის არბიტრაჟის კომპეტენციაში და სპეციალიზირებული არბიტრაჟები, რომლებიც კონკრეტულად ეკონომიკისა თუ სამართლის რომელიმე დარგიდან წარმოშობილი დავის განხილვაზე არიან ორიენტირებულნი.

სპეციალიზირებული არბიტრაჟების მაგალითია საზღვაო და სადაზღვევო არბიტრაჟები.

სპეციალიზებული არბიტრაჟები იმით განსხვავდებიან ზოგადისგან, რომ ისინი ორიენტირებულნი არიან კონკრეტული სახის დავებზე. ამ სახის არბიტრაჟებს აქვთ გარკვეული უპირატესობა, რადგანაც ისინი წლების განმავლობაში აგროვებენ დავების განხილვისა და გადაწყვეტის გამოცდილებას მხოლოდ ერთ სპეციფიკურ სფეროში, რაც მათ მაღალ პროფესიონალიზმსა და არბიტრაჟის მაღალ დონეზე ორგანიზებას უზრუნველყოფს.

არბიტრაჟების დაყოფას ზოგად და სპეციალიზირებულ არბიტრაჟებად გააჩნია თავისი ობიექტური საფუძველი. დღეისათვის არსებობს ზოგადი და სპეციალიზირებული არბიტრაჟების სინთეზური ვარიანტებიც. ასეთი სინთეზი საშუალებას იძლევა საარბიტრაჟო ცენტრმა გააფართოვოს თავისი მომსახურების სფერო და უფრო მრავალფეროვანი არჩევანი შესთავაზოს მხარეებს. ასეთი საარბიტრაჟო დაწესებულების მაგალითად შეიძლება დასახელებულ იქნეს სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო ინსტიტუტი, რომელსაც გარდა ძირითადი რეგლამენტისა გააჩნია ცალკე რეგლამენტი დაზღვევის სფეროში წარმოშობილი დავებისთვის.¹⁷

ასევე, შესაძლებელია არბიტრაჟების კლასიფიკაცია როგორც ადმინისტრირებული და სპონტანური არბიტრაჟი. ადმინისტრირებული არბიტრაჟი ეწოდება არბიტრაჟს, რომელიც არბიტრაჟის ცენტრში მიმდინარეობს, მაგალითად- საერთაშორისო

¹⁶ „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“- ნ.ფიცხელაური,თბილისი 2015 წ., გვ. 55

¹⁷ „საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები“- გ.ცერცვაძე, თბილისი 2008 წ., გვ 37

სავაჭრო პალატა ან საქართველოს სავაჭრო და სამრეწველო პალატა. არბიტრაჟის ეს კონკრეტული ცენტრები უზრუნველყოფენ საარბიტრაჟო განხილვისათვის დარბაზს, პროცედურულ წესებს, არბიტრთა სიასა და სხვა სერვისებს ანაზღაურების სანაცვლოდ. სპონტანური არბიტრაჟი კი გულისხმობს მხარეების მიერ მათი საკუთარი წესების შექმნას კონკრეტული მიზნით მათ შორის წარმოშობილი დავის გადასაწყვეტად. როგორც წესი, არჩევანს არბიტრაჟის ამ ორ სახეს შორის მხარეები აკეთებენ ხელშეკრულების გაფორმებისას.

საქართველოში არსებულ საარბიტრაჟო ინსტიტუტთა უმრავლესობას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სტრუქტურა და მართვის ორგანოები აქვს: პარტნიორთა კრება, რომელიც უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს და ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი დირექტორი, რაც სტანდარტული წესდებით განისაზღვრება. როგორც წესი, დამფუძნებელიც, დირექტორიც და საქმეთა განმხილველი არბიტრიც ერთი თუმცა არსებობენ გამონაკლისი შემთხვევებიც, სადაც საარბიტრაჟო ინსტიტუტებს სპეციფიკური ორგანოები აქვთ, სადაც დირექტორატის და პარტნიორთა კრების გარდა, ფუნქციონირებს საარბიტრაჟო სასამართლო და სამდივნო (გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით). საარბიტრაჟო სასამართლო დავას უშუალოდ არ განიხილავს. იგი ადმინისტრირებას უწევს ტრიბუნალის მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს, რაც გულისხმობს დახმარებას ტრიბუნალის ფორმირებაში, გადაწყვეტილების მიღებას არბიტრის შეცვლის შესახებ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ფორმალურ შემოწმებას, ტრიბუნალის გადაწყვეტილების დადასტურებას და დოკუმენტების შენახვას. საარბიტრაჟო სასამართლოს ამ საქმიანობაში ეხმარება სამდივნო გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით. ასევე გამონაკლისია ინსტიტუტები, რომლებიც ა(ა)იპ-ის ფორმით არიან დაარსებულნი და მათი სტრუქტურა გამგეობის, სამდივნოსა და საარბიტრაჟო საბჭოსგან შედგება. გამგეობა საარბიტრაჟო ცენტრის კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტას უზრუნველყოფს და არ ერევა საარბიტრაჟო განხილვაში. საარბიტრაჟო ცენტრში წარმოდგენილი საარბიტრაჟო საქმეების უშუალო ადმინისტრირებასა და საარბიტრაჟო პროცესების ორგანიზებას სამდივნო ახორციელებს. იგი ინსტიტუტის ყოველდღიურ საქმიანობაშია ჩართული და ხელს უწყობს როგორც საარბიტრაჟო საბჭოს, ასევე საარბიტრაჟო ტრიბუნალს მათი ფუნქციების განხორციელებაში. რაც შეეხება საარბიტრაჟო საბჭოს, მისი ფუნქციაა საარბიტრაჟო განხილვის ეფექტიანი წარმოებისა და ცენტრის საარბიტრაჟო წესებთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა. საარბიტრაჟო საბჭო იღებს ისეთ გადაწყვეტილებებს, როგორცაა, მაგალითად, არბიტრების დანიშვნა-აცილება და საქმეების გაერთიანება, ასევე საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესებით მინიჭებულ სხვა საკითხებზე.¹⁸

¹⁸ „არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში“, თბილისი., 2018 წ., გვ. 14

კანონის თანახმად, დავის განხილვის დროს არბიტრაჟის შემადგენლობაში არბიტრთა რაოდენობას, შემადგენლობას და დანიშვნის წესს განსაზღვრავენ მხარეები, ამავე დროს აუცილებელია, არბიტრად დანიშნულმა პირმა წერილობითი თანხმობა განაცხადოს არბიტრად დანიშვნის შესახებ. თუმცა, „შესაძლოა, ისინი არ ან ვერ შეთანხმდნენ არბიტრების დანიშვნის პროცედურაზე, ან მხარეების მიერ გათვალისწინებული არბიტრების დანიშვნის პროცედურა ვერ განხორციელდეს. ეს განსაკუთრებით ხშირია ად ჰოც არბიტრაჟის შემთხვევაში, როდესაც მხარეებს არ სურთ დავას ადმინისტრირება გაუწიოს რომელიმე საარბიტრაჟო დაწესებულებამ, არამედ სურთ დავა განიხილოს არაინსტიტუციონალური, ad hoc წესით შექმნილმა არბიტრაჟმა. ასეთ შემთხვევაში, თუკი მხარეებმა დეტალურად არ გაწერეს არბიტრაჟის პროცესი (რაც იშვიათად ხდება), ან თუ ისინი არ შეთანხმდნენ ad hoc არბიტრაჟის მორგებულ წესებზე, ისინი ხშირად შეიძლება შევიდნენ ჩიხში არბიტრის დანიშვნის, აცილების თუ მისი უფლებამოსილების შეწყვეტის პროცესში. ეს იმიტომ, რომ ამ ეტაპზე, როდესაც ისინი უკვე არა ერთმანეთის პარტნიორი არამედ მოდავე მხარეები არიან, დიდია ცდუნება და ალბათობა, რომ მათ შორის ვერ მოხდეს შეთანხმება პროცედურულ საკითხებზეც კი.“¹⁹

ასეთ შემთხვევებში, მოდელური კანონის მსგავსად (რომელიც ad hoc არბიტრაჟის ოპერირებაზე მორგებული მოდელია), არბიტრაჟის შესახებ კანონიც მხარეთა ნების აღსრულებისა და საარბიტრაჟო შეთანხმების ნაკლის მიუხედავად არბიტრაჟის გადარჩენისკენაა ორიენტირებული. სწორედ ამ მიზნით არის შექმნილი კანონი, რომლის დებულებათა უმრავლესობა და მათ შორისაა მე-11 მუხლიც, მოქმედებს მაშინ, თუკი არბიტრის და არბიტრაჟის თავმჯდომარის დანიშვნაზე მხარეთა შეთანხმება არ არსებობს ან თუკი მათ მიერ შეთანხმებული პროცედურის განხორციელება შეუძლებელია.²⁰

თუ დათქმულია, რომ არბიტრაჟი უნდა შედგებოდეს სამი წევრისგან, აქედან ორს ნიშნავენ მხარეები, ხოლო მესამეს აირჩევენ უკვე დანიშნული არბიტრები, ანუ მხარეები თავის შეხედულების შესაბამისად თვითონ ნიშნავენ თანაბარი რაოდენობის არბიტრებს, თუ მხარეთა შეთანხმებით წინასწარ არ არის განსაზღვრული არბიტრების დანიშნის სხვა წესი. აგრეთვე თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით არბიტრთა რაოდენობა ლუწი რიცხვით განისაზღვრება, მაშინ დანიშნული არბიტრები ვალდებულნი არიან 10 დღეში აირჩიონ კიდევ ერთი არბიტრი, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. პრაქტიკა აჩვენებს, რომ ხშირად მიუხედავად საარბიტრაჟო შეთანხმებისა, მხარეებს წინასწარ არ აქვთ განსაზღვრული არბიტრების რაოდენობა და დანიშვნის წესი, ასეთ შემთხვევაში კანონის იმპერატიული მოთხოვნის თანახმად, არბიტრაჟი უნდა შეიქმნას სამი არბიტრის შემადგენლობით. საარბიტრაჟო დავაში მხარეები თვითონ განსაზღვრავენ არბიტრაჟის თავმჯდომარის დანიშვნის წესს, თუ კი ასეთი შეთანხმება არ არსებობს, მხარეების მიერ არჩეული არბიტრები თვითონ ნიშნავენ ერთ პირს თავმჯდომარედ.

¹⁹ „გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის“, თბილისი., 2017 წ., გვ. 64

²⁰ საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ მუხლი 11.3

მხარეს ასევე შეუძლია მიმართოს განცხადებით, სასამართლოს ან არბიტრაჟს არბიტრის დანიშვნის თაობაზე, თუკი მხარეები ვერ შეთანხმდებიან მისი დანიშვნის წესზე, სასამართლო (არბიტრაჟი) თავის მხრივ განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში დანიშნავს არბიტრს, ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. მხარეებს და თვითონ არბიტრაჟსაც აქვს უფლება მოითხოვონ წერილობითი ინფორმაციის წარდგენა არბიტრობის კანდიდატის განათლებისა და არბიტრად მუშაობის გამოდილების შესახებ, ინფორმაციის წარდგენა სავალდებულო ხასიათს ატარებს. კანონი უზრუნველყოფს, რომ არბიტრად არჩეული შეიძლება იქნეს ნებისმიერი პიროვნება, თუ კი ის მისაღებია მხარისათვის, მათ შორის მოქალაქეობის არმქონე პირები, ამავე დროს არ არის შეზღუდული არბიტრის განათლება ანუ სავალდებულო არ არის, რომ არბიტრი აუცილებლად იურისტი იყოს, ის შესაძლებელია სხვა პროფესიის ადამიანი იყოს, მთავრია ის მისაღები იყოს მხარისთვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, საქართველოს კანონში „არბიტრაჟის შესახებ“ მკაცრად ჩამოთვლილია იმ კრიტერიუმების ჩამონათვალი რომელთა არსებობის დროს პირი არ შეიძლება დაინიშნოს არბიტრად, კერძოდ: „დაუშვებელია პირს აკრძალოს არბიტრად დანიშვნა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი არის: ა) ქმედუნარო ან შეზღუდულქმედუნარიანი; ბ) სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი ან მოხელე; გ) მსჯავრდებული დანშაულის ჩადენისათვის და მოხსნილი ან გაქარწყლებული არ ააქვს ნასამართლობა.“²¹

მხარეებს აქვთ უფლება მოითხოვონ არბიტრის აცილება, თუკი არსებობს ზემოაღწერილი საფუძველი ან თუკი არბიტრობის კანდიდატი ვერ აკამყოფილებს მხარეების მიერ შეთანხმებით განსაზღვრულ კვალიფიკაციას ან/და არსებობს გარემოებები, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს დასაბუთებული ეჭვი არბიტრის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში, ასევე არბიტრად დანიშნული ან კანდიდატი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მხარეებს და არბიტრაჟს იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც საეჭვოს ხდის მის დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას. კანონის მოთხოვნათა დაცვით მხარეებს აქვთ უფლება შეთანხმდნენ არბიტრის აცილების პროცედურაზე. თუ კი არ არსებობს შეთანხმება მხარეებს შორის აცილების პროცედურაზე, მხარეს რომელმაც შეიტყო არბიტრის აცილების საფუძველების შესახებ ვალდებულია 15 დღის ვადაში წარადგინოს განცხადება არბიტრის აცილების თაობაზე, სადაც უნდა მიუთითოს აცილების კონკრეტული საფუძველების შესახებ, თუ არბიტრი რომელზედაც წარდგენილია აცილება არ განაცხადებს თვით აცილების შესახებ ან თუ მეორე მხარე არ ეთანხმება არბიტრის აცილებას წერილობითი განცხადების წარდგენიდან 30 დღის ვადაში მაშინ აცილების საკითხს გადაწყვეტს არბიტრაჟი ამ ვადის ამოწურვიდან 30 დღის განმავლობაში. აცილების შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან, აცილების განმცხადებელ მხარეს აქვს უფლება 30 დღის განმავლობაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის აცილების მოთხოვნით. თუ კი ერთი არბიტრისგან შედგება არბიტრაჟი მხარეს ააქვს უფლება მიმართოს სასამართლოს 30 დღის ვადაში არბიტრის აცილების მოთხოვნით

²¹ საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, მუხლი 11.7

არბიტრის დანიშვნიდან ან იმ დღიდან როდესაც მისთვის გახდა ცნობილი აცილების კანონით გათვალისწინებული საფუძველების შესახებ. ასევე საფუძველების არსებობის შემთხვევაში, თვითაცილების ვალდებულება თვითონ არბიტრს აკისრია. მხარის მიერ აცილების შესახებ წარდგენილი განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელიც არ გასაჩივრდება. ამ დროის განმავლობაში არბიტრაჟს შეუძლია გააგრძელოს საარბიტრაჟო განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება იმ არბიტრის მონაწილეობით, რომლის აცილებასაც მხარე მოითხოვდა. თუ კი არბიტრი ვერ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას ან არსებობს სხვა რაიმე მიზეზი, არბიტრს შესაძლოა შეუწყდეს უფლებამოსილება, საკუთარი მოთხოვნით ან მხარეთა შეთანხმებით, ამავე დროს მხარეს არ აქვს უფლება ერთპიროვნულად შეცვალოს თავის მიერ დანიშნული არბიტრი, ანუ აქ აუცილებელია მხარეების შეთანხმება არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტაზე, თუ კი ეს ვერ მოხერხდა ერთერთ მხარეს აქვს უფლება უფლებამოსილების შესახებ მოთხოვნის დაყენებიდან 30 დღის განმავლობაში მიმართოს სასამართლოს, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. თუ კი უფლებამოსილება არბიტრს საბოლოოდ მაინც შეუწყდა ახალი არბიტრი ინიშნება იმავე წესით რომლითაც დანიშნული იქნა უფლებამოსილება შეწყვეტილი არბიტრი.²²

საარბიტრაჟო წარმოების წესების უმეტესობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სტრუქტურის მიხედვით არის აგებული და ისინი, სხვა ასპექტებთან ერთად, ტერმინთა განმარტებებს, ზოგად დებულებებს, განხილვის ვადებს, არბიტრაჟის კომპეტენციას, არბიტრის დანიშვნის, აცილების მარეგულირებელ ნორმებსა და საარბიტრაჟო ხარჯებსაც მოიცავენ.

1.3. საარბიტრაჟო პროცესის პრინციპები

არბიტრაჟის, ისევე როგორც ნებისმიერი ინსტიტუტის არსებობა დამოკიდებულია მკაფიოდ განსაზღვრულ სამართლებრივ პრინციპებზე, რომლის ირგვლივაც უნდა მოხდეს მთლიანად ინსტიტუტის ჩამოყალიბება. არბიტრაჟი, როგორც დაპირისპირებულ მხარეთა შორის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმი, კვაში სასამართლო ინსტიტუტია, რომელიც მართალია შეიცავს არბიტრაჟსთვის დამახასიათებელ პროცედურულ წესებს, მაგრამ ამასთანავე მართლმსაჯულების ძირითად ფუნდამენტურ პრინციპებს ეფუძნება.

პრინციპის არსი და კონცეფცია განიხილება როგორც სამართლის ნებისმიერი განხრის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი. სამართლის პრინციპს ან იურიდიული პრინციპს, გააჩნია მრავალი სხვადასხვა ინტერპრეტაცია როგორც საერთო სამართლის თეორიაში, ისე გამოყენებით სამართლებრივ დისციპლინებში. არ შევალ სამეცნიერო დისკუსიის დეტალებში, სადაც ერთის მხრივ ხდება სამართლის პრინციპის, როგორც სამართლის შემადგენელი ელემენტის, უარყოფა, ხოლო მეორე მხრივ პრინციპის მისადაგება საერთო ფუნქციის ნორმებთან - სხვადასხვა წესების გამოყენების წესთან,

²² <http://www.g-p.ge/files/upload-file/pdf/newsletter-11.pdf>

და მივუთითებ სამართლის პრინციპების საერთო მახასიათებლებზე, რომლებსაც შეიძლება მივაკუთვნოთ:

1. ფუნდამენტობა
2. აბსტრაქტულობა
3. ნორმატიულობა
4. ზოგადი ვალდებულება

პირველი მახასიათებელი მიუთითებს პრინციპის როლზე სამართლის ძირითადი ფასეულობების სისტემაში. სამართლის პრინციპი წარმოადგენს ფუნდამენტურ იურიდიულ იდეას, რომელიც გამოხატავს კანონის უმნიშვნელოვანეს თვისებებს და წარმოშობს საფუძველს ნებისმიერი იურიდიული კონსტრუქციისთვის, კანონის ინტერპრეტაციისა და სასამართლო ნორმა-შემოქმედებისთვის.²³ ფუნდამენტობა აღნიშნავს მდგრადობას ან სტაბილურობას, რომელოც ეწინააღმდეგება დინამიზმს, ცვალებადობასა და ლაბილურობას. მეორე მახასიათებელი დაკავშირებულია სამართლის პრინციპებისათვის დამახასიათებელ ნორმათა შეკავშირების ფუნქციასთან, მათ შორის კორელაციასა და სუბორდინაციასთან, რომელიც უზრუნველყოფს სამართლის სისტემის სტაბილურობას. ეს მიიღწევა პრინციპის განსაკუთრებული თვისებით - შინაარსის აბსტრაქტული ბუნებით, რომელიც საშუალებას იძლევა განსხვავებული ნორმების საერთო თვისებების გამოხატვის. მესამე დამახასიათებელი უკავშირდება იურიდიული პრინციპის კუთვნილებას არსებულ წესთან როგორც მის სპეციფიკურ ნორმასთან: პრინციპი მეგა-ნორმა, რომელიც არ არის აუცილებელი ტექსტუალურად იყოს გადმოცემული რომელიმე ნორმატიულ დოკუმენტში.²⁴ და ბოლოს, მეოთხე მახასიათებელი პირდაპირ უკავშირდება სამართლის პრინციპის პრაქტიკული ორგანიზების როლს სამართლის ფუნქციონირებაში. ის გვევლინება ერთდროულად როგორც აბსტრაქტულ ისე ზოგად სავალდებულო ნორმად, რომელიც ძირითადად კონკრეტულ სამართლებრივ ნორმებში გამოიყენება და ზოგჯერ ცვლის კიდეც მათ. „კონცეფციის თეორია“ ამისთვის გვთავაზობს შემდეგ ლოგიკურ სქემას, რომელიც მოქმედებს საკანონმდებლო სისტემის ფარგლებში: თეზისი-ინდუქცია-პრინციპი-დედუქცია-ახალი თეზისი.

საარბიტრაჟო პროცესუალურ სამართალში პრინციპებად ითვლება მისი ფუნდამენტური დებულებები და სამართლებრივი იდეები, რომლებიც ჩამოყალიბებულია უფრო ზოგადი ხასიათის ნორმებში. ისინი არეგულირებენ საარბიტრაჟო პროცესის ყველა ინსტიტუტს და განსაზღვრავენ მის ისეთ აგებულებას, რომელიც უზრუნველყოფს დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილებების გამოტანას და მათ აღსრულებას.

საარბიტრაჟო პროცესის საფუძველია სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რის შედეგადაც საარბიტრაჟო პროცესის მიმდინარეობა ძირითადად ეფუძნება იმავე პრინციპებს,

²³ „théorie générale du droit“- jean-louis berge, („სამართლის თეორია“ - ჟან ლუი ბერგელი)1999 y.p. 178

²⁴ „théorie générale du droit“- jean-louis berge, („სამართლის თეორია“ - ჟან ლუი ბერგელი)1999 y.p 192

რასაც საერთო სასამართლოები. სამართლის პრინციპებსა და მათ ფუნქციებში იკვეთება კანონმდებლის დამოკიდებულება საარბიტრაჟო საქმისწარმოებისადმი, რომელიც განსაზღვრავს მისი ინსტიტუტების საერთო მახასიათებლებს.

საარბიტრაჟო პროცესის ძირითადი და აღიარებული პრინციპებია:

1. კანონიერების პრინციპი
2. მხარეთა თანასწორობის პრინციპი
3. Competence-competence (არბიტრაჟის კომპეტენციის) პრინციპი
4. საარბიტრაჟო დათქმის ავტონომიურობის პრინციპი

კანონიერების პრინციპი

კანონიერების პრინციპი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია არა მხოლოდ საარბიტრაჟო სამართალში, არამედ სამართლის ყველა სფეროში. კონკრეტულ შემთხვევაში, აღნიშნული პრინციპი უფრო ორგანიზაციულ-ფუნქციონალურ ხასიათს ატარებს და მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საარბიტრაჟო პროცესის სისტემაში. როგორც აღვნიშნე, კანონიერების პრინციპი ზოგადსამართლებრივ ხასიათს ატარებს გამომდინარე იქედან, რომ სამართლის ყველა სფეროში მოქმედებს. კანონიერების პრინციპი თავიდანვე გვევლინება უფრო პოლიტიკურ ვიდრე სამართლებრივ პრინციპად სწორედ იმ მიზეზის გამო, რომ იგი დაკავშირებულია არა რომელიმე კონკრეტული სფეროს ჩამოყალიბებასთან, არამედ მისი რეალიზაციის დახასიათებასთან. კანონიერების ცნების ქვეშ იგულისხმება საზოგადოების ცხოვრების წესი, სადაც პირველ რიგში არსებობს კანონმდებლობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ საზოგადოების ობიექტურ მოთხოვნილებებს და მეორეც, კანონის ნორმათა შესრულებას უზრუნველყოფს სახელმწიფო. საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის კანონიერება გარანტირებულია კანონის და სხვა ნორმატიული აქტების ზედმიწევნით შესრულებით და არბიტრთა მიერ კანონით დადგენილი წესების შესრულებით.

მხარეთა თანასწორობის პრინციპი

კანონიერების პრინციპის მსგავსად, აღნიშნული პრინციპიც ორგანიზაციულ-ფუნქციონალური ბუნებისაა. საარბიტრაჟო სასამართლომ უნდა უზრუნველყოს საქმეში მონაწილე ყველა პირის უფლების და ინტერესის დაცვა თანაბრად. მართლმსაჯულება საარბიტრაჟო სასამართლოში ხორციელდება ყველა ორგანიზაციის თანასწორობის უფლების და კანონის უზენაესობის საწყისებზე, მიუხედავად მათი ადგილმდებარეობისა, დაქვემდებარებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა. საარბიტრაჟო პროცესში მოქალაქეთა უფლებები და ინტერესები დაცულია მიუხედავად რასისა, სქესისა, ეროვნებისა, რელიგიური მრწამსისა, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა.

competence-competence პრინციპი

ამ პრინციპის მიხედვით, „საარბიტრაჟო ტრიბუნალს აქვს უფლებამოსილება, თავად დაადგინოს საკუთარი იურისდიქცია (კომპეტენცია) და გადაწყვიტოს თავის

იურისდიქციასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.²⁵ „არბიტრებს აქვთ საკუთარი იურისდიქციის დადგენის კომპეტენცია. „competence-competence“ პრინციპი (არბიტრაჟის კომპეტენციის პრინციპი, რომელსაც ასევე Kompetenz Kompetenz უწოდებენ) უფლებას აძლევს არბიტრებს განიხილონ ნებისმიერი დავა მათ იურისდიქციასთან დაკავშირებით და ამავე დროს მიიღონ გადაწყვეტილება იურისდიქციის არქონის თაობაზე.“²⁶

ამ უფლებამოსილებას გააჩნია არსებითი მნიშვნელობა არბიტრების მიერ მათი ფუნქციების ჯეროვნად განხორციელებისთვის. საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის სადავობის დროს საქმის სასამართლოებისთვის გადაცემა მნიშვნელოვმად შეაფერხებდა საარბიტრაჟო წარმოებას, ამიტომ ნიუ იორკის კონვენცია არ მოითხოვს competence-competence პრინციპის გამოყენებას, თუმცა არც ნეიტრალურ პოზიციას არ იკავებს ამ საკითხთან მიმართებაში. ზემოთხსენებული კონვენციის მე-2 მუხლის მე-3 და მე-5 მუხლის პირველი ნაწილები არც საარბიტრაჟო ტრიბუნალსა და არც სასამართლოს არ უკრძალავს არბიტრაჟის მიერ კონკრეტული დავის განხილვის იურისდიქციის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებას. მეტიც, კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის 1 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტები საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ გულისხმობენ, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გადაწყვეტილება მიიღო საარბიტრაჟო სასამართლოს იურისდიქციასთან დაკავშირებული დავის მიუხედავად.

საარბიტრაჟო დათქმის ავტონომიურობის პრინციპი

„არბიტრაჟის კომპეტენციის პრინციპს სასამართლოები, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში, განმარტავენ კონვენციის აღსრულების მხარდამჭერი განწყობის გათვალისწინებით. შესაბამისად, უპირატესობა მიენიჭა საარბიტრაჟო ტრიბუნალის იურისდიქციის დადგენას თავად ტრიბუნალის მიერ და სასამართლოების მიერ, სავარაუდოდ, გაბათილებული, ძალადაკარგული ან შესასრულებლად შეუძლებელი საარბიტრაჟო შეთანხმების განხილვა მხოლოდ ზედაპირულად (ან prima facie) ხორციელდებოდა დავის საწყის ეტაპზე. ამ სასამართლოებმა დაადგინეს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმებას არ აქვს იურიდიული ძალა მხოლოდ კონკრეტულად დადგენილ შემთხვევებში. აღნიშნული მიდგომის შესაბამისად, სასამართლოებს მხოლოდ მაშინ აქვთ საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ იურისდიქციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების სრულად გადახედვის უფლებამოსილება, როცა სასამართლოში წარდგენილია შუამდგომლობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით ან გადაწყვეტილების გაუქმების ეტაპზე (ამ უკანასკნელს კონვენცია არ არეგულირებს). ეს განმარტება არ არის წინააღმდეგობას მოკლებული. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ წარმოდგენილი პოზიცია სასურველია

²⁵ „გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის“., 2017 წ., გვ. 10

²⁶ ICCA-ს ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე, INTERNATIONAL COUNCIL FOR COMMERCIAL ARBITRATION., 2013 წ., გვ. 53

კონვენციის მიზნიდან გამომდინარე, კონვენციაში არ არსებობს პირდაპირი ჩანაწერი, რომლითაც სასამართლოებს ეკრძალებათ დავის საწყის ეტაპზე საარბიტრაჟო შეთანხმების შუამდგომლობა საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულების თაობაზე სრული განხილვა და შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილების მიღება შეთანხმების ნამდვილობასთან დაკავშირებით.

competence-competence - ის პრინციპთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საარბიტრაჟო დათქმის ძირითადი ხელშეკრულებისგან დამოუკიდებლობის პრინციპი (ასევე ცნობილი, როგორც „დამოუკიდებლობა“ ან „საარბიტრაჟო დათქმის ავტონომიურობა“). აღნიშნული პრინციპი უპირველესად გულისხმობს, რომ ძირითადი ხელშეკრულების ნამდვილობა ზოგადად არ ახდენს გავლენას მასში მოცემული საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობაზე; და, მეორე, ძირითადი ხელშეკრულება და საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დარეგულირდეს სხვადასხვა სამართლით.²⁷

1.4. საარბიტრაჟო პროცესის სისტემა - საარბიტრაჟო პროცესის სტადიები

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საარბიტრაჟო განხილვა ჩვეულებრივ სასამართლო პროცესთან შედარებით გაცილებით მარტივ, მოსახერხებელ და სწრაფ გზას წარმოადგენს. „საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები შეიძლება ორ დიდ ძირითად ჯგუფად, მატერიალურ და ფორმალურ წინაპირობად დავეყოთ. პირველი ფორმალური წინაპირობა, რომლის არსებობის გარეშეც საარბიტრაჟო განხილვა ვერ დაიწყება, არის საარბიტრაჟო შეთანხმება“.²⁸ კერძო არბიტრაჟს სამოქალაქო დავა განსახილველად გადაეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები შეთანხმდებიან ამის შესახებ. საქართველოს კანონის „არბიტრაჟის შესახებ“ მიხედვით, საარბიტრაჟო შეთანხმება იდება წერილობით. პრაქტიკაში დამკვიდრებული წესის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ნაწილს, თუმცა შესაძლებელია, რომ ასეთი შეთანხმება მხარეებმა ცალკე დადონ.

საარბიტრაჟო შეთანხმება წარმოადგენს გადამწყვეტი მნიშვნელობის დოკუმენტს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე და შეიძლება ითქვას, რომ იგი გამსაზღვრავს მთელ საარბიტრაჟო წარმოებას. საქართველოს კანონის „არბიტრაჟის შესახებ“ მე-8 მუხლი საარბიტრაჟო შეთანხმების ცნებას შემდეგნაირად განმარტავს: „საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე; საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის ან ცალკე შეთანხმების ფორმით; საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით“. მისი არსებობის გარეშე არბიტრაჟმა უარი უნდა განაცხადოს

²⁷ აქვე: ICCA-ს ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე, INTERNATIONAL COUNCIL FOR COMMERCIAL ARBITRATION., 2013 წ., გვ. 55

²⁸ „საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები“- გ.ცერცვაძე, თბილისი 2008 წ., გვ 105

საქმის განხილვაზე. საარბიტრაჟო შეთანხმება მხარეებს შორის შეიძლება გაფორმდეს როგორც დავის წარმოშობამდე ასევე მისი წარმოშობის შემდეგს და მასში მაქსიმალურად ამომწურავად უნდა იყოს განსაზღვრული ყველა მნიშვნელოვანი დეტალი, რაც ეხება საარბიტრაჟო წარმოებას.

„საარბიტრაჟო შეთანხმებით გათვალისწინებული დავები შეიძლება ეხებოდეს როგორც ხელშეკრულებას, ისე სხვა სახის მოთხოვნებს, როგორებიც არის დელიქტური და სხვა სახის კანონისმიერი მოთხოვნები.“²⁹

საარბიტრაჟო შეთანხმება გულისხმობს საარბიტრაჟო ხელშეკრულებას ან საარბიტრაჟო დათქმას. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ საარბიტრაჟო ხელშეკრულება იდება უკვე დავის არსებობის შემთხვევაში, როდესაც მხარეები თანხმდებიან, რომ თავისი დავა გადასცენ განსახილველად არბიტრაჟს, ხოლო საარბიტრაჟო დათქმის შემთხვევაში კი მხარეები აღნიშნავენ ძირითად ხელშეკრულებაში და თანხმდებიან, რომ გადასცემენ არბიტრაჟს დავას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა სახელშეკრულებო თუ სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე.

იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს არბიტრაჟთან დაკავშირებით შეთანხმება არ აქვთ, მაგრამ დავა წარმოიშვა და მათ სურთ დავა განიხილოს საარბიტრაჟო სასამართლომ, შესაძლებელია გაკეთდეს შემდეგი საარბიტრაჟო დათქმა: რომ მხარეები აცხადებენ თანხმობას არსებული დავა წარუდგინონ მითითებულ არბიტრაჟს მისი საარბიტრაჟო წესების შესაბამისად გადასაწყვეტად. და ასევე უნდა შეთანხმდნენ იმაზეც, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულება მოხდება შესაბამისი კომპეტენციის სასამართლოს მიერ.

„არსებითი მნიშვნელობა აქვს საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმას. საარბიტრაჟო შეთანხმება მოითხოვს წერილობით ფორმას.“³⁰

„ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, საარბიტრაჟო შეთანხმების საკითხები სრულყოფილად არ არის რეგულირებული კანონმდებლობაში. არსებულ ხარვეზებს კი პრაქტიკაში საკმაოდ დიდი დაბრკოლებები მოჰყვება. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაადგინა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც საარბიტრაჟო დათქმა მხოლოდ მაშინაა კანონშესაბამისი, თუ მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულია კონკრეტული არბიტრაჟი (არბიტრი), თანაც აღნიშნული დათქმა უნდა იყოს უალტერნატივო. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რეალობაში საბაზრო ძალაუფლების მქონე დომინანტი მხარე იყენებს არბიტრაჟზე ზოგად მითითებას, ან ტერმინს “მოსარჩელის არჩევით”, რასაც სააპელაციო სასამართლო არ მიიჩნევს კანონშესაბამის შეთანხმებად. სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ხშირად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა

²⁹ ICCA-ს ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე, INTERNATIONAL COUNCIL FOR COMMERCIAL ARBITRATION., 2013 წ., გვ. 27

³⁰ „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“ - ნ.ფიცხელაური,თბილისი 2015 წ., გვ. 76

და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს საარბიტრაჟო შეთანხმების კანონშეუსაბამობა არჩევის უფლების რეალურად არარსებობის გამო. “არბიტრაჟის შესახებ” კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე. თუმცა, კანონში არ არის მითითებული, რომ მხარემ ერთ რომელიმე კონკრეტულ არბიტრაჟზე უნდა შეაჩეროს არჩევანი. სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ არცთუ იშვიათად, მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმება არ იდება თანასწორუფლებიანობის პრინციპის საფუძველზე. პრობლემატური საკითხია საარბიტრაჟო შეთანხმების სამართლებრივი ბუნება, რაც, სამწუხაროდ, “არბიტრაჟის შესახებ” კანონით სრულად და ამომწურავად არ არის განმარტებული.³¹

კანონის თანახმად, თუ ხელშეკრულების მხარეებს შორის არ არსებობს შეთანხმება საარბიტრაჟო განხილვის წესს და ადგილს განსაზღვრავს უშუალოდ საქმის განმხილველი საარბიტრაჟო სასამართლო. არბიტრაჟს უფლება აქვს მოიწვიოს საარბიტრაჟო სხდომა ნებისმიერ ადგილას. მხარეს საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე აქვს უფლება იყოს წარმოდგენილი ადვოკატის ან სხვა წარმომადგენლის მეშვეობით.

საარბიტრაჟო დავის განხილვა არბიტრაჟში იწყება დავის გადაცემის შესახებ, შეტყობინების საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ მიღების დღეს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული. ისევე როგორც სამოქალაქო პროცესში, შეტყობინება საქმის განხილვის თაობაზე ჩაბარებულად ითვლება, თუ ის ადრესატს ჩაბარდა პირადად ან თავის იურიდიულ მისამართზე, ასევე საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილას.

მხარეთა შეთანხმებით ან არბიტრაჟის მიერ დაწესებულ ვადაში საარბიტრაჟო მოსარჩელემ უნდა წარადგინოს საარბიტრაჟო სარჩელი წერილობითი ფორმით და მასში უნდა იყოს მითითებული მხარეთა სახელები, მისამართები, საქმის გარემოებები, მტკიცებულებები და საარბიტრაჟო სარჩელზე უნდა იყოს მიმაგრებული თანდართული საბუთების ნუსხა. მოპასუხემ კი უნდა წარმოადგინოს საარბიტრაჟო შესაგებელი და მიუთითოს თავისი მოსაზრებები კონკრეტულ სარჩელთან დაკავშირებით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოპასუხის მიერ შესაგებლის წარმოდგენლობა საარბიტრაჟო განხილვის დაწყებას ხელს ვერ შეუშლის და ჩაითვლება, რომ მოპასუხემ უარი განაცხადა შეპასუხების უფლებაზე. მხარეებს თანაბრად შეუძლიათ წარმოადგინონ ნებისმიერი მტკიცებულება, რაც უკავშირდება განსახილველ დავას ან მიუთითონ იმ საბუთებზე და

³¹ აქვე: „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“- ნ.ფიცხელაური, თბილისი 2015 წ., გვ. 79

მტკიცებულებებზე, რომლებსაც წარმოადგენენ შემდგომ ეტაპზე. მხარეს შეუძლია საარბიტრაჟო სარჩელის მოთხოვნები შეცვალოს ან შეცვალოს შესაგებელი.

ასევე მხარეთა შეთანხმებით არის შესაძლებელი საარბიტრაჟო განხილვის ფორმის განსაზღვრა, კერძოდ ჩატარდეს ზეპირი განხილვა თუ განხილვა იყოს დახურული. იმ შემთხვევაში თუ ჩაინიშნა ზეპირი სხდომა, მხარეებს ამის შესახებ უნდა ეცნობოთ უწყებით. არბიტრი და საქმეში მონაწილე ნებისმიერი პირი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობა.

რომელიმე მხარის არასაკმაყოფილო გამოუცხადებლობა საარბიტრაჟო საქმის განხილვას არ აფერხებს და საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილი იქნეს საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე. ისევე როგორც სამოქალაქო პროცესში, საქმის განმხილველ არბიტრს საჭიროებისამებრ შეუძლია მოიწვიოს ექსპერტი ან მოთხოვოს მხარეებს ექსპერტიზისთვის საჭირო ინფორმაციისა თუ დოკუმენტაციის მიწოდება.

საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მხარეს არბიტრაჟის თანხმობით შეუძლია გამოიძახოს მოწმე. მოწმის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

არბიტრი გადაწყვეტილებას იღებს მხარეთა მიერ არჩეული სამართლის ნორმების შესაბამისად, ხოლო თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს გამოიყენება არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული სამართლის ნორმები. ასევე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანისას არბიტრაჟი ითვალისწინებს იმ სავაჭრო ჩვეულებებსა და ტრადიციებს, რომლებიც გამოიყენება ასეთი ხელშეკრულებების განხილვის დროს. თუკი არბიტრაჟი შედგება რამდენიმე არბიტრისგან მას გადაწყვეტილება გამოაქვს არბიტრთა ხმების უმრავლესობით. გადაწყვეტილების მიღებისას არბიტრს არ აქვს უფლება თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან. მხარეთა მორიგების შემთხვევაში, არბიტრაჟს გამოაქვს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ მორიგების თაობაზე განცხადების მიღებიდან 30 დღის ვადაში.

საქართველოს კანონით „არბიტრაჟის შესახებ“ მკაცრად არის განსაზღვრული საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის საფუძვლები (მუხლი 40). კანონის თანახმად, არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ შემდეგ შემთხვევებში: ა) თუ საარბიტრაჟო მოსარჩელე უარს აცხადებს საარბიტრაჟო სარჩელზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო მოპასუხე წინააღმდეგია საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტისა და არბიტრაჟი მიიჩნევს, რომ საარბიტრაჟო მოპასუხეს აქვს საარბიტრაჟო დავის გადაწყვეტის კანონიერი ინტერესი; ბ) თუ მხარეები შეთანხმდნენ საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტაზე; გ) თუ არბიტრაჟი დაადგენს, რომ საარბიტრაჟო განხილვის გაგრძელება რაიმე სხვა მიზეზით არ არის აუცილებელი ან შეუძლებელია.

საარბიტრაჟო დავაში გადაეყვებილება უნდა იქნეს გამოტანილი დავის განხილვის დაწყებიდან 180 დღის ვადაში, თუმცა აუცილებლობის შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არბიტრის მიერ არა უმეტეს 180 დღისა. გადაწყვეტილების

შესრულება მხარეთათვის სავალდებულოა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში მისი გამოტანის მომენტიდან (კანონის 39.5 მუხლი).

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება ან გასაჩივრება ხდება სასამართლოს მეშვეობით, ამ გადაწყვეტილების მხარისთვის ჩაბარებიდან 90 დღის ვადაში. კანონის 42 მუხლის მიხედვით: „სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: ა) მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, სასამართლოს საჩივრით მიმართავს და დაამტკიცებს, რომ: ა.ა) საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების დროს მხარე იყო არაუფლებამოსილი ან მხარდაჭერის მიმღები, რომელსაც საარბიტრაჟო შეთანხმებაში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით მხარდაჭერი ჰყავდა დანიშნული, მაგრამ შესაბამისი მხარდაჭერა არ მიუღია, ან იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიუთითეს, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას – საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია; ა.ბ) მხარე, რომელიც ითხოვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას, არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვაგვარად არ მიეცა შესაძლებლობა, წარმოედგინა საკუთარი პოზიცია ან დაეცვა თავისი ინტერესები; ა.გ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც მხარეებმა არბიტრაჟში არ წარადგინეს, ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება. თუ გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში ექცევა, შეიძლება გამოცალკევებულ იქნეს იმ საკითხებისგან, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება; ა.დ) არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას – ამ კანონის მოთხოვნებს; ბ) სასამართლო დაადგენს, რომ: ბ.ა) საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი; ბ.ბ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოში არსებულ საჯარო წესრიგს.“

იმ დროს როდესაც დება საკითხი უშუალოდ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ სასამართლო არ განიხილავს საარბიტრაჟო დავას და არც იმ ნორმებს, რომელიც გახდა საფუძველი კონკრეტული გადაწყვეტილების გამოტანის. გადაწყვეტილების გაუქმებისას სასამართლო მსჯელობს მხოლოდ იმ საკითხებზე და ასპექტებზე, რომელიც შეეხება დავის სამართლებრივ მხარეს, ანუ მსჯელობს იმ საპროცესო გარემოებებზე, რომელიც საფუძვლად დაედო მხარეების მიერ არბიტრაჟში საქმის განხილვის წამოწყებას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უცხოეთში მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების უფლება ქართულ

სასამართლოს არ აქვს. სასამართლოს გააჩნია უფლებამოსილება მხოლოდ შეაჩეროს
გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება არაუმეტეს 30 დღისა.

თავი 2. საარბიტრაჟო პროცესის მონაწილეები

2.1. მონაწილეები: კონცეფცია და ტიპები

საარბიტრაჟო პროცესულური ურთიერთობების მონაწილეები ან სუბიექტები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებსაც გააჩნიათ უფლებაუნარიანობა. მათთან ერთად საარბიტრაჟო პროცესულურ ურთიერთობებში მონაწილეობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები და იურიდიული პირები. პროცესის ყველა მონაწილე შეიძლება დაიყოს სხვადასხვა ჯგუფებად იმის მიხედვით, თუ რა კავშირი აქვთ განსახილველ საქმეთან. შეგვიძლია ვისაუბროთ სამ ძირითად ჯგუფზე.

მონაწილეთა პირველი ჯგუფი წარმოდგენილია იმ საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, რომლის კომპეტენციაშიც შედის ეკონომიკური დავების განხილვა და გადაწყვეტა. მონაწილეთა მეორე ჯგუფს წარმოადგენენ პირები, რომლებიც მონაწილეობენ საქმეში და გამოარჩევთ ინტერესი (მატერიალური ან პროცესულური) თუ რა შედეგი დადგება კონკრეტულ განსახილველ საქმეზე. პროცესში მონაწილე დაინტერესებული პირის ინტერესს აქვს იურიდიული ხასიათი: თითოეული მათგანი მოქმედებს სასამართლოში გარკვეული გადაწყვეტილების მიღებისა და მისგან გამოწვეული სამართლებრივი სარგებლის მისაღებად. სასამართლო განიხილავს ან ამ პირის მატერიალური უფლებებისა და მოვალეობების საკითხს ან მის უფლებამოსილებაზე დაიცვას სასამართლოში სხვა პირების მატერიალური უფლება.

პირები, რომლებსაც გააჩნიათ კერო მატერიალური ინტერესი საქმის მიმართ არიან:

1. მხარეები
2. განმცხადებლები და დაინტერესებული პირები
3. მესამე პირები

პირები, რომლებსაც გააჩნიათ საჯარო მატერიალური ინტერესი საქმის მიმართ არიან:

1. სახელმწიფო ორგანოები
2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები
3. სხვა დაწესებულებები, რომლებმაც მიმართეს საარბიტრაჟო სასამართლოს

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირისგან მხოლოდ ხელშეკრულების მხარეები არიან აუცილებელი მონაწილეები დავის განხილვისა საარბიტრაჟო სასამართლოში. სხვა დანარჩენ ჩამოთვლილ პირთა მონაწილეობა საქმეში განისაზღვრება განსახილველი საქმის თავისებურებების გათვალისწინებით (მესამე პირები) ან კანონის პირდაპირი მითითებით (სახელმწიფო ორგანოები ან სხვა დაწესებულებები, რომლებიც ასრულებენ კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს).

პირებს, რომლებიც მონაწილეობენ განსახილველ საქმეში უფლება აქვთ:

1. გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერი საქმის მასალებიდან;
2. გადაიღოს ქსერო ასლები;

3. წარმოადგინოს მტკიცებულებები და გაეცნოს საქმის მონაწილე სხვა პირების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა ნუსხას;
4. მიიღოს მონაწილეობა მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესში;
5. კითხვები დაუსვას საარბიტრაჟო პროცესის სხვა მონაწილეებს;
6. მიიღოს ინფორმაცია სასამართლოს მიერ გამოტანილ სხვადასხვა აქტზე და მიიღოს ამ აქტების ქსერო-ასლები;
7. გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება და ისარგებლოს კანონით გათვალისწინებული სხვა პროცესუალური უფლებებით.

ფიზიკური თუ იურიდიული პირები, რომლებიც მონაწილეობენ საარბიტრაჟო განხილვაში არიან კანონით გათვალისწინებული პროცესუალური ვალდებულებების მატარებელი. ყველა მონაწილის საერთო ვალდებულებაა კეთილსინდისიერად ისარგებლოს კანონით მინიჭებული უფლებებითა და თავისუფლებებით. ზუსტი განმარტება იმისა, თუ რას წარმოადგენს ე.წ. „პროცესუალური უფლების ბოროტად გამოყენება“ არ არსებობს. პროფესორი ვასკოვსკის თქმით, ზემოთხსენებული ტერმინი გულისხმობს პროცესის მონაწილეების მხრიდან სამოქალაქო უფლებების გამოყენებას იმ მიზნების მისაღწევად, რომელიც არ შეესაბამება სასამართლო პროცესის მიზნებს - გონივრულ ვადაში მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომელიც მონაწილეობს საარბიტრაჟო პროცესში, გამოიყენებს კანონით მინიჭებულ უფლებას სხვა მიზნების მისაღწევად ის ცდება უფლება-მოვალეობათა კეთილსინდისიერების ფარგლებს და ბოროტად იყენებს მას.

32

2.2. საარბიტრაჟო სასამართლო როგორც განსახილველი საქმის სუბიექტი

სასამართლო არის მთავარი და აუცილებელი მონაწილე ყველა სახის საპროცესო-სამართლებრივი ურთიერთობისას. კონკრეტულად საარბიტრაჟო სასამართლოს სამართალწარმოების ძირითადი ამოცანებია:

1. იმ პირების დარღვეული ან სადავოდ გახდილი უფლებისა და სხვა კანონიერი ინტერესის დაცვა, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო ან სხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობას;
2. სამეწარმეო, ეკონომიკურ ან სხვა სფეროში მართლმსაჯულების უზრუნველყოფა;
3. სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა გონივრულ ვადაში;
4. კანონის უზენაესობის განმტკიცება;
5. საზოგადოების თვალში კანონისა და სასამართლოს მიართ პატივსაცემი დამოკიდებულების ჩამოყალიბება;
6. საქმიანი ბიზნეს ბრუნვის ეთიკისა და წესების ფორმირება

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ უშუალოდ არბიტრების (როგორც საქმის სუბიექტის) როლი სასამართლო პროცესში მეტად დიდია, ვინაიდან მათი კვალიფიკაციის

³² Васильковский Е.В., Указ.соч. С. 669, 676, 677

საკითხი შეილება გახდეს რაიმე პროცესუალური თუ სამართლებრივი დარღვევის მიზეზი და გამოიწვიოს შედეგები, რაზეც ვისაუბრე ზემოთ. ზოგადად, აბიტრაჟების კონკრეტულად კი არბიტრის ნდობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მის კვალიფიკაციას. კვალიფიკაციას, რაც არაა რეგულირებული საქალთველოს კანონმდებლობით, ამ კონკრეტული საკითხის ანალიზი კი აჩვენებს, რომ ძირითადი დარღვევები, სწორედ კვალიფიკაციის ნაკლებობის შედეგი შეიძლება იყოს.³³

არბიტრაჟის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულებაა სამართლიანად და მიუკერძოებლად მოქმედება. და სწორედ არბიტრები წარმოადგენენ საარბიტრაჟო განხილვის ძირითად მონაწილე პირებს, ვინაიდან მათზეა დამოკიდებული საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობისა და საბოლოო გადაწყვეტილების ხარისხი. მაშასადამე, არბიტრთა კვალიფიკაციაზე, მათ პირად თვისებებსა და პასუხისმგებლობის გრძნობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, ივარაუდება, რომ საარბიტრაჟო განხილვამდე მხარეებს უნდა უდნოდეთ შეათანხმონ არა მხოლოდ არბიტრთა რაოდენობა განხილვის მიზნებისათვის, არამედ არბიტრის პროფესიული და საქმიანი თვისებებიც. ვინაიდან არბიტრის არჩევა გადამწყვეტ როლს თამაშობს საარბიტრაჟო პროცესის წარმატებულ ან წარუმატებელ დასრულებაში, საჭიროა ამ კრიტერიუმების გათვალისწინება და მხედველობაში მიღებაც.³⁴

2.3. მხარეები საარბიტრაჟო პროცესში

„მხარეთა ნების ავტონომიას ყველაზე ფართო ფარგლები სწორედ საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვისას აქვს. როგორც წესი, მხარეებს აქვთ შესაძლებლობა შეათანხმონ საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალი. არბიტრთა უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ მიიღონ გადაწყვეტილება ამა თუ იმ საკითხზე, მხარეთა შეთანხმებიდან უნდა გამომდინარეობდეს. არბიტრაჟის ინიციატივები საარბიტრაჟო განხილვისთვის ცალკეულ საკითხებთან მიმართებაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მხარეთა შეთანხმებას.“³⁵

მხარეებად საარბიტრაჟო პროცესში გვევლინებიან საარბიტრაჟო მოსარჩელე და მოპასუხე. საარბიტრაჟო მოსარჩელეები შეიძლება იყვნენ როგორც იურიდიული პირები (ორგანიზაციები, სამეწარმეო სუბიექტები) ისე ფიზიკური პირები (მეწარმეები და ა.შ), რომელთაც მიმართეს საარბიტრაჟო სასამართლოს საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე და მოითხოვეს დარღვეული უფლების აღდგენა. მოპასუხე მხარეს ასევე წარმოადგენენ ან იურიდიული ან ფიზიკური პირები, რომელთა წინააღმდეგაც მოსარჩელემ შემოიტანა სარჩელი. როგორც ზემოთ აღვნიშნე, უცხოურ

³³ „არბიტრაჟის ინსტიტუტის განვითარება კერძო სამართალური თვითობის მონაწილეთა კანონიერი ინტერესების დასაცავად“, თბილისი 2012 წ., გვ 9

³⁴ აქვე: „არბიტრაჟის ინსტიტუტის განვითარება კერძო სამართალური თვითობის მონაწილეთა კანონიერი ინტერესების დასაცავად“, თბილისი 2012 წ., გვ 11

³⁵ „საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები“- გ.ცერცვაძე, თბილისი 2008 წ., გვ 118

ორგანიზაციებსა და დაწესებულებებსაც, რომლებიც მოღვაწეობენ საქართველოს ფარგლებს გარეთ, უფლება აქვს მიმართონ საარბიტრაჟო სასამართლოს.

მხარეთა მდგომარეობა გამოიხატება მათ უფლებებსა და ვალდებულებებში. საარბიტრაჟო პროცესის მხარეები თანაბარი პროცესუალური უფლებებით სარგებლობენ, თუმცა ეს თანასწორობა არ უნდა განვიხილოთ როგორც მოცემულობა. მოსარჩელე და მოპასუხე განსხვავებულ პოზიციებს იკავებენ, რომლის მიხედვითაც მათი უფლებების თანაბრობა ასოცირდება სასამართლოს მხრიდან მათთვის შეთავაზებულ შესაძლებლობაში თანაბრად ისარგებლონ პროცესუალური უფლებათა ვისუფლებებით. მხარეები და დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირები სარგებლობენ უფლებების კუთხით დიდი უპირატესობით, ვიდრე პროცესის სხვა მონაწილეები. მხოლოდ პროცესის მონაწილეებს აქვთ უფლება განკარგონ დავის საგანი. ამ უფლებათაგან რამდენიმე ეკუთვნის მოსარჩელეს, ესენია: სარჩელზე უარის თქმის უფლება, დავის საგნის ან საფუძვლის შეცვლა. ზოგიერთი უფლებით კი მოპასუხე სარგებლობს, კერძოდ: სარჩელის აღიარების უფლება.

კოდექსი ერთი უფლებამოსილება, რაც საარბიტრაჟო პროცესში მხარეებს გააჩნიათ არის შესაძლებლობა დაასრულონ პროცესი მორიგების გზით. არბიტრთა ეთიკის კოდექსის თანახმად, არბიტრს გააჩნია შესაძლებლობა, შესთავაზოს მხარეებს დავის მორიგებით დასრულება, ისევე როგორც მედიაცია ან დავის გადაწყვეტის სხვა მექანიზმები. „სასამართლოში საქმის წარმოებისას დადებული მორიგება არის როგორც ვალდებულებითსამართლებრივი გარიგება, ისე საპროცესო მოქმედება. ვალდებულებითსამართლებრივი თვალსაზრისით მორიგება, როგორც წესი, გამოიწვევს მხარეებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ახლებურად ჩამოყალიბებას, ხოლო ის, როგორც საპროცესო მოქმედება – დავის საგანზე საქმის წარმოების შეწყვეტას და უზრუნველყოფის ღონისძიებების გაუქმებას.“³⁶ შეთავაზება თავის მხრივ გამოიწვევს რომელიმე მხარეზე ზეწოლას მორიგების მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის მორიგების პროცესი დაიწყო არბიტრი მორიგების პროცესს არ უნდა ესწრებოდეს ან ნებისმიერი სხვა სახით არ უნდა მონაწილეობდეს მასში.³⁷ საარბიტრაჟო სამართალწარმოება, ისევე როგორც სხვა სახის დავებიც, შეიძლება შეწყდეს, თუ დავის საარბიტრაჟო განხილვის მონაწილეები მორიგდებიან. ამ მხრივ, მხარეთა მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სასურველ გზას, რასაც კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ პირდაპირ ითვალისწინებს. აღნიშნული კანონით განსაზღვრულია სამართალწარმოების შეწყვეტის სხვა საფუძვლებიც.

2.4. მესამე პირები

„კომერციული არბიტრაჟი და მესამე პირები ერთმენთთან ისეთ დამოკიდებულებაში არიან როგორც ცეცხლი და წყალი, თუმცა ეს პოზიცია ყველას მიერ გაზიარებული არ არის. თუ არბიტრაჟი გადაწყვეტს, რომ მესამე პირმა მონაწილეობა უნდა მიიღოს

³⁶ თოთლაძე ლ., გაბრიჩიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩაჩანიძე ე., განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბ., 2012, გვ. 296.

³⁷ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის არბიტრთა ეთიკის კოდექსი, პრინციპი მე-4, ნაწილი მე-4

საარბიტრაჟო განხილვაში, ეს თავისთავად არ შეიძლება გახდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუმცა შლოსერი თვლის, რომ მხარეს შეუძლია ეს ფაქტი, როგორც არბიტრაჟის მიერ დაშვებული საპროცესო დარღვევა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად აქციოს.³⁸

თუ საარბიტრაჟო განხილვის მხარე საარბიტრაჟო განხილვაში მესამე პირის ჩართვას ითხოვს, არბიტრაჟი ყველა მხარესთან მოლაპარაკების შემდგომ იღებს გადაწყვეტილებას. ამავდროულად, არბიტრაჟმა უნდა გაითვალისწინოს საქმის ყველა დეტალი და გარემოება, რომელსაც იგი კონკრეტულ შემთხვევაში ჩათვლის მიზანშეწონილად. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, არბიტრაჟს აქვს უფლებამოსილება მხარეების ან საკუთარი ინიციატივითაც ჩართოს განხილვაში მესამე პირი ან მესამე პირები იმ პირობით, რომ საქმის აღმძვრელი მხარე და მესამე პირი შეთანხმდნენ წერილობით, რათა გამოტანილი იყოს ყველა მონაწილე მხარის მიმართ ერთიანი გადაწყვეტილება ან ცალ ცალკე გადაწყვეტილებები მხარეთა მიმართ.

„ბოკტიგელი მხარეებს ურჩევს, რომ თუ მოსალოდნელია მესამე პირის საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობა, საარბიტრაჟო შეთანხმებაში, ან შემდგომ დადებულ შეთანხმებაში გაითვალისწინონ ის პროცედურული საკითხები, რომელიც პროცესში მესამე პირის მონაწილეობას ახლავს. ამით თავიდან იქნება აცილებული ყოველგვარი უთანხმოება და გაუგებრობა, რაც განხილვის უფრო ეფექტურად წარმართვას შეუწყობს ხელს. ეს ალბათ, საუკეთესო გამოსავალია, თუმცა მხარეები ყოველთვის როდი ითვალისწინებენ მსგავს რჩევებს. საბოლოო ჯამში, ყველა არსებული პრობლემის მოგვარება არბიტრების ვალდებულებას წარმოადგენს.“³⁹

2.5. წარმომადგენლები

საარბიტრაჟო განხილვის სუბიექტებს ყოველთვის არ აქვთ შესაძლებლობა დადონ საარბიტრაჟო შეთანხმება ან მიიღონ მონაწილეობა საარბიტრაჟო პროცესში. ამიტომ, ხშირად თავიანთი ინტერესების დასაცავად ზემოთხსენებული უფლებების რეალიზაციას ანდობენ მესამე პირებს - წარმომადგენლებს. წარმომადგენლებს შესაძლებელია, რომ ჰქონდეთ მარწმუნებლის თანხმობით საარბიტრაჟო შეთანხმების დადების ან საარბიტრაჟო პროცესში მონაწილეობის უფლებამოსილება. ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობით, მარწმუნებელი განსაზღვრავს რწმუნებულის უფლება-მოვალეობებს.

როგორც წესი, წარმომადგენლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე დასკვნების გაკეთება მოსამართლეებსა და არბიტრებს უწევთ. ICC არბიტრაჟის პრაქტიკის საფუძველზე გაკეთებული ერთერთი შეფასების თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმების დადების დროს წარმომადგენლის უფლებამოსილება შეიძლება იყოს აშკარად გამოხატული, ან ნაგულისხმევი. თუ კორპორაციის რომელიმე

³⁸ „საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები“- გ.ცერცვაძე, თბილისი 2008 წ., გვ 132

³⁹ აქვე: „საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები“- გ.ცერცვაძე, თბილისი 2008 წ., გვ 132-133

სტრუქტურულმა ერთეულმა თუ შემადგენელმა ნაწილმა ხელი მოაწერა საარბიტრაჟო შეთანხმებას და ეს ერთეული თვითონ არ არის სამართლის სუბიექტი მაშინ საარბიტრაჟო შეთანხმება სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს იმ სუბიექტისთვის, რომელსაც ეს სტრუქტურული ერთეული ეკუთვნის. თუ საარბიტრაჟო შეთანხმებას ხელს აწერს ფილიალი, ეს შეთანხმება სავალდებულოა იმ კომპანიისთვის რომლის ფილიალმაც ხელი მოაწერა. თუ პირი ხელს აწერს საარბიტრაჟო შეთანხმებას არარსებული კომპანიის სახელით, მაშინ ის თვითონ არის შეზღუდული ამ საარბიტრაჟო შეთანხმებით.

ცხადია, თუ წარმომადგენლის უფლებამოსილება ვერ დადასტურდება, მის მიერ დადებული შეთანხმება წარმოდგენილი პირისთვის ვერ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. ამავე დროს, წარმომადგენელი, რომელმაც შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე დადო საარბიტრაჟო შეთანხმება, არ უნდა დაექვემდებაროს იმ საარბიტრაჟო შეთანხმებას, რომელიც ბათილია მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობის გამო. აქედან გამომდინარეობს, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის გამო საარბიტრაჟო შეთანხმება სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს არც წარმოდგენილი პირისათვის და არც წარმომადგენლისათვის.

როგორც წესი, საარბიტრაჟო განხილვაში ადვოკატთა მონაწილეობა სავალდებულოდ ითვლება. ადვოკატის გამორიცხვა საარბიტრაჟო განხილვიდან მისი საქმიანობის ადგილის მიუხედავად დაუშვებელია. აქ იგულისხმება როგორც ნაციონალური ისევე უცხოელი ადვოკატები.

შეიძლება ითქვას, რომ საარბიტრაჟო განხილვისას წარმომადგენლად უმჯობესია პროფესიონალი ადვოკატის მონაწილეობა. ამავე დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმას, თუ რომელი სახელმწიფოს კანონმდებლობით ითვლება ან არ ითვლება პირი ადვოკატად. მთავარია, მხარის მიერ მისთვის გამოცხადებული ნდობა, რაც დადასტურებული იქნება შესაბამის დოკუმენტში და მის მიერ საადვოკატო მომსახურების გაწევის ფაქტობრივი შესაძლებლობების არსებობა.⁴⁰

2.6. სხვა პირები

საარბიტრაჟო მონაწილეთა კიდევ ერთი ჯგუფი შედგება იმ პირებისგან, რომლებიც ხელს უწყობენ საარბიტრაჟო სასამართლოს საქმის განხილვასა და გადაწყვეტაში. ესენი არიან მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები, თარჯიმნები.

მოწმე შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც ფლობს ინფორმაციას განსახილველი საქმის ფაქტიურ გარემოებებზე და მის ინფორმაციას აქვს მნიშვნელობა საქმის სამართლიანად გადაწყვეტისათვის. მოწმე უნდა გამოცხადდეს საარბიტრაჟო სასამართლოში მას შემდეგ, რაც მას დაიბარებს სასამართლო და შეატყობინოს მისთვის ცნობილ ფაქტებსა და გარემოებებზე. იგი ვალდებულია

⁴⁰ „საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები“- გ.ცერცვაძე, თბილისი 2008 წ., გვ 136-138

მისცეს საქმის განმხილველ სასამართლოს სწორი ჩვენება და გასცეს პასუხები, როგორც საარბიტრაჟო სასამართლოს ისე დავის მონაწილეთა კითხვებს.

ექსპერტი საარბიტრაჟო სასამართლოში არის პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა, რომელიც აუცილებელია საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისთვის. ისევე როგორც მოწმე, ექსპერტი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში და წარმოადგინოს ობიექტური დასკვნა დასმულ კითხვებზე.

სპეციალისტი არის პირი, რომელსაც აქვს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა იმ სფეროში, რომელ სფეროსაც ეხება საარბიტრაჟო განხილვა და სასამართლოს მიერ მოწვეულია კონსულტაციებისა და პროფესიული აზრის გამოსახატად.

თავი 3 - მტკიცება და მტკიცებულებები საარბიტრაჟო პროცესში

3.1. სასამართლო მტკიცებულებათა ცნება

რა არის სასამართლო მტკიცებულება და რა როლი აქვს მას საარბიტრაჟო განხილვაში? ზოგადად რომ ვთქვათ, სასამართლო მტკიცებულება არის პროცესუალურ სამართლებრივი საშუალება, რომლის მეშვეობითაც სასამართლო დავისთვის მნიშვნელოვანი ფაქტები დგინდება და ამ ფაქტების სამართლებრივი შეფასებით მიიღება სასამართლო გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ამომწურავად განსაზღვრავს მტკიცებულებათა სახეებს. ესენია: ადგილზე დათვალიერება, მხარეთა ახსნა-განმარტებები, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებები, მოწმის ჩვენებები და ექსპერტის დასკვნა.

ისევე როგორც სამოქალაქო-პროცესუალურ სამართლებრივი ურთიერთობები, საარბიტრაჟო პროცესიც დაფუძნებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც გულისხმობს მხარეების სარგებლობას თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თავადვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს და ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დაადასტურონ ეს ფაქტები.

41

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, თუ რომელი გარემოებები უნდა დამტკიცდეს სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით (მტკიცების საგანი) და ვინ ესეიგი რომელმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ეს გარემოებები (მტკიცების ტვირთი).“⁴²

„მტკიცების საშუალებათა (მტკიცებულებათა) სახეები, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლო საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დასადგენად ამომწურავადაა განსაზღვრული კანონით (სსკ 102. 2) არცერთ მტკიცებულებას არ გააჩნია რაიმე უპირატესობა სხვა მტკიცებულებასთან შედარებით. არცერთ მტკიცებულებას არ აქვს, აგრეთვე წინასწარ დადგენილი ალა სასამართლოსთვის. ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ მტკიცებულებათა დასაშვებობა და მათი წინასწარ დადგენილი ძალა. დასაშვებობა ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ამათუ იმ ფაქტის დასადასტურებლად დაიშვება არა ყველა, არამედ მხოლოდ ზოგიერთი მტკიცებულება (სსკ 104.1).“⁴³

⁴¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 4.1

⁴² „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები“, თ.ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი., გვ. 200

⁴³ აქვე: „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები“, თ.ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი., გვ. 207-208

„მტკიცების ტვირთი წარმოგვიდგება, როგორც მოდავე მხარეთა შორის რისკების გადანაწილება, რომელსაც, უპირველეს ყოვლისა, აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა, გამომდინარე იქიდან, რომ მის გარეშე შეუძლებელია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების იმგვარად დადგენა, როგორც ეს მოხდა სინამდვილეში.“⁴⁴

„საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლო გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე დარწმუნდება ამ ფაქტობრივი გარემოების ნამდვილობაში. არ უნდა შეგვექმნას შთაბეჭდილება, თითქოს მოსამართლე ინდივიდუალურად აფასებს წარდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ანუ მათი შეფასება არ ექვემდებარება რაციონალურ კონტროლს. მოსამართლის წინაშე არსებული ამოცანა უფრო მეტია, ვიდრე წარდგენილი იურიდიული ფაქტების (მტკიცებულებების) სუბიექტური შეფასება. სწორედ ობიექტური გარემოებები წარმართავს მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებას.“⁴⁵

სამეცნიერო თვალსაზრისით, მტკიცებულებებს შეგვიძლია გავუკეთოთ კლასიფიკაცია. მტკიცებულებათა შინაარსისა და დასამტკიცებელი ფაქტების ურთიერთმიმართებით ისინი იყოფიან პირდაპირ და ირიბ მტკიცებულებად. პირდაპირი მტკიცებულება დაკავშირებულია დასამტკიცებელ ფაქტთან ერთგავროვანი და ცალსახა კავშირით, ამიტომაც პირდაპირი მტკიცებულება არ საჭიროებს სხვა მტკიცებულებებთან დაყენებას და შედარებას. პირდაპირისგან განსხვავებით, ირიბი მტკიცებულება კი დაკავშირებულია დასადგენ ფაქტთან, მაგრამ მის გასამყარებლად საჭიროა საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან შედარება.

სხვადასხვა მეცნიერი მტკიცებულებათა კლასიფიკაციის საკუთარ ვერსიას გვთავაზობს, თუმცა კი ფაქტი არის ის, რომ მტკიცებულებებს ყოველთვის მნიშვნელოვანი როლი ეჭირებათ სასამართლო დავის განხილვის დროს, ვინაიდან მათ გარეშე დავის გადაწყვეტა და სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის თანახმად „არბიტრაჟის უფლებამოსილებას განეკუთვნება ნებისმიერი მტკიცებულების დასაშვებობის შემოწმება და მტკიცებულებათა შეფასება; თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, არბიტრაჟი უფლებამოსილია: ა) საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მოსთხოვოს მხარეს, წარუდგინოს მეორე მხარეს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი ან ნივთმტკიცება; ბ) გამოიძახოს ნებისმიერი მხარის მოწმე ან, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს მისი დაკითხვა საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე და გამოიყენოს მოწმის ჩვენება განხილვის დროს; გ) საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მოსთხოვოს მხარეს, წარმოადგინოს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი ან ნივთმტკიცება.“

⁴⁴ „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, ი.გაგუა., თბილისი 2012 წ., გვ.11

⁴⁵ აქვე: „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, ი.გაგუა., თბილისი 2012 წ., გვ.30

3.2. მტკიცების საგანი

ზემოთ ჩამოთვლილ საპროცესო მოქმედებათა შორის უმთავრესია მტკიცების საგნის განსაზღვრა, ანუ იმ ფაქტობრივი გარემოებების კლასიფიკაცია, რომლებსაც სუბსუმცია, ანუ იურიდიული კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების ჯგუფი განისაზღვრება განკუთვნიებადობის პრინციპის საფუძველზე, რომლის თანახმად, საქმესთან დაკავშირებულად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი ფაქტები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების გამოსავლენად და დასადგენად. მაინც რა კრიტერიუმები განსაზღვრავს მტკიცების საგანს? მტკიცების საგნის განსაზღვრისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა სარჩელში და შესაგებელში მითითებული სადავო, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები, მაგრამ თუ ამ ფაქტებს შორის არის ისეთებიც, რომლებიც შემხებლობაში არ არიან მხარეთა მოთხოვნებისა თუ, შესაგებლის შინაარსთან, ისინი არ შეიტანება მტკიცების საგანში. ამდენად, მტკიცების საგნის ფორმირება ხდება არა მარტო სარჩელი, არამედ ასეთივე მნიშვნელობის მქონეა შესაგებელში მითითებული სადავო, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებიც. ხოლო, თავის მხრივ, მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების იურიდიულ მნიშვნელობას განსაზღვრავს სასამართლო. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მტკიცების საგანში არ მოიაზრება ყველა ის ფაქტი, რომლებიც მნიშვნელოვანია საქმის „არსებითად სწორი“ გადაწყვეტისათვის, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის, არამედ მხოლოდ ის ფაქტები, რომლებზედაც მიუთითებენ თავად საქმეში მონაწილე მხარეები (მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნით და მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე). შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მხოლოდ მხარეებს აქვთ უფლება განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტობრივი გარემოებები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს და შესაგებელს და, რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს მათ მიერ მითითებული სადავოდექვეული ფაქტობრივი გარემოებები.⁴⁶

3.3. მტკიცების პროცესი

მტკიცების პროცესი საარბიტრაჟო სასამართლოში წარმოდგენილია, როგორც მუდმივი, ერთმანეთთან დაკავშირებული და შერწყმული ქმედებების ერთობლიობა, რომელიც ცალკეული საფეხურებისგან (ეტაპებისგან) შედგება. ამ ეტაპებად შეიძლება ჩავთვალოთ მტკიცების საგნის განსაზღვრა, მტკიცებულებათა შეგროვება და შესწავლა. მტკიცებულებათა შეგროვების პროცესი მოიცავს რიგ პროცედურულ ქმედებებს, როგორცაა: მტკიცებულებათა მოპოვება, გამოცხადება, უზრუნველყოფა. ამ ქმედებების უმრავლესობას ახორციელებენ თავად განსახილველი დავის მონაწილეები. საარბიტრაჟო პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელოვან ენიჭება მტკიცებულებათა გამჟღავნებას: ყოველი პირი, რომელიც მონაწილეობს საარბიტრაჟო დავაში, ვალდებულია გაამჟღავნოს თუ რა მტკიცებულებებს ეყრდნობა, რომელთა

⁴⁶ აქვე: „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, ი.გაგუა., თბილისი 2012 წ., გვ. 37

მიხედვითაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. საარბიტრაჟო სასამართლოს არ შეუძლია პასიური დამოკიდებულება ჰქონდეს მტკიცებულებათა წარმოდგენის ეტაპზე, ვინაიდან იგი პასუხისმგებელია საქმის სამართლიანი განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანაზე.

სამოქალაქო საპროცესო საქმისწარმოებისგან განსხვავებით, საარბიტრაჟო საქმისწარმოება არ განასხვავებს სასამართლოს მოთხოვნათა შეუსრულებლობის საკითხს იმ მხარეების მხრიდან, რომლებიც საქმისათვის მნიშვნელოვან მტკიცებულებებს ფლობენ. ასეთ სიტუაციაში, მტკიცებულებათა შესწავლისა და შეფასების ზოგადი წესები მოქმედებს, ვინაიდან საარბიტრაჟო სასამართლოს არ შეუძლია მიმართოს კანონის ანალოგიას და მიიღოს გადაწყვეტილება მხოლოდ მეორე მხარის ახსნა-განმარტებების საფუძველზე, როგორც ეს არის შესაძლებელი საერთო სასამართლოში.

დამატებით მტკიცებულებათა წარმოდგენის მოთხოვნა. სასამართლოს აქვს უფლებამოსილება შესთავაზოს დავაში მონაწილე მხარეებს წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელოვანი დამატებითი მტკიცებულებები. ამ წინადადებას სასამართლო აყენებს მტკიცების საგნის განსაზღვრის და დასაშვები მტკიცებულებების განსაზღვრის საფუძველზე, რომელთა წარმოდგენაც ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია.

მტკიცებულებათა შეგროვების საკითხში ჩართულობა. საარბიტრაჟო სასამართლო დახმარებას უწევს საქმეში მონაწილე მხარეებსა და სხვა პირებს მტკიცებულებათა შეგროვების საკითხში. ამისათვის საჭიროა, რომ მხარეებმა წარმოადგინონ შუამდგომლობა მტკიცებულებათა გამოთხოვისა და შეგროვების თაობაზე. შუამდგომლობაში მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე უნდა იყოს აღნიშნული თუ რომელ მტკიცებულებაზეა საუბარი და ასევე საქმისათვის მნიშვნელოვანი რომელი ფაქტობრივი გარემოების დადასტურება ან უარყოფაა შესაძლებელი ამ კონკრეტული მტკიცებულებით. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო მოთხოვს ზემოაღნიშნულ მტკიცებულებას იმ პირს, ვინც მას ფლობს. თუკი პირს, რომელსაც საარბიტრაჟო სასამართლო თხოვს კონკრეტული მტკიცებულების წარმოდგენას, ვერ ახერხებს საჭირო ვადაში ან საერთოდ შეასრულოს ვალდებულება, მან უნდა წარმოადგინოს სასამართლოში პატივსადები მიზეზი მტკიცებულების წარმოუდგენლობის. საარბიტრაჟო სასამართლოს ჩართულობა მტკიცებულებათა შეგროვების პროცესში ასევე გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში მოწმეთა გამოძახებას და ექსპერტიზის დანიშვნას.

სასამართლოს დახმარება მტკიცებულებათა მოპოვებაში. „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 35-ე მუხლის თანახმად: „არბიტრაჟს ან მხარეს არბიტრაჟის თანხმობით შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს დახმარება მტკიცებულებათა მოპოვებაში საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე. აღნიშნული მტკიცებულებანი უნდა წარედგინოს მხარეს (მხარეებს) ან არბიტრაჟს განხილვის ნებისმიერ სტადიაზე. არბიტრაჟი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს მოწმის დასწრების უზრუნველსაყოფად. სასამართლოს მიერ გამოძახებული მოწმის უფლება-

მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით“. მას შემდეგ, როდესაც საარბიტრაჟო სასამართლო საერთო სასამართლოს მიმართავს, რათა დაეხმაროს მტკიცებულებათა მოპოვებაში, სასამართლო მოიშველიებს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებს. ამ დროს გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XIV თავს, რომელიც მტკიცებულებათა უზრუნველყოფას არეგულირებს.

არბიტრაჟს თავისი ინიციატივით ან მხარეთა თანხმობით შეუძლია სასამართლოს მოსთხოვოს მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარება საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე და აღნიშნული მტკიცებულებები უნდა წარედგინოს დავის მხარეებს ან არბიტრაჟს საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე. ასევე, არბიტრაჟი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს მოწმის დასწრების უზრუნველსაყოფად. სასამართლოს მიერ გამოძახებული მოწმის უფლება-მოვალეობები, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ასევე განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. „თუმცა, განსხვავებულად აწესრიგებს ამ საკითხს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი: „არბიტრაჟის მიერ თავისი ინიციატივით ან მხარის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოსთვის მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების მიზნით მიმართვის შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის XIV თავით დადგენილი წესები.“ კოდექსის აღნიშნული ჩანაწერი შესაძლოა იმგვარად განიმარტოს, რომ მხარემ ჯერ უნდა მიმართოს არბიტრაჟს, არბიტრაჟის თანხმობის შემთხვევაში, ისევ თავად არბიტრაჟი არის უფლებამოსილი მიმართოს სასამართლოს მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარებისთვის. საპროცესო კოდექსის ეს შეუსაბამობა არბიტრაჟის შესახებ კანონთან შესაძლოა უმნიშვნელო იყოს შედეგის თვალსაზრისით, თუმცა პროცესუალური სიზუსტისთვის, ამ ხარვეზის საკანონმდებლო წესით აღმოფხვრამდე, სასურველია, რომ საპროცესო კოდექსი განიმარტოს ფართოდ. კერძოდ, რეკომენდებულია, საპროცესო კოდექსი განიმარტოს არბიტრაჟის შესახებ კანონთან შესაბამისობაში, რომელიც ამ შემთხვევაში სპეციალურ ნორმას წარმოადგენს. ეს განმარტება შეიძლება ითვალისწინებდეს იმას, რომ მხარეს შეუძლია მიმართოს არბიტრაჟს და მას სთხოვოს სასამართლოსათვის მიმართვა მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების მიზნით. თუმცა, მხარეს აგრეთვე უნდა ჰქონდეს უფლება, მოიპოვოს არბიტრაჟის თანხმობა და თავად წარადგინოს სასამართლოში განცხადება, არბიტრაჟის თანხმობასთან ერთად.“⁴⁷

ამასთანავე, საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ განსაზღვრავს საარბიტრაჟო განხილვის დაწყების დროს და ადგენს, რომ „საარბიტრაჟო დავის განხილვა იწყება არბიტრაჟში ამ დავის გადაცემის შესახებ შეტყობინების საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ მიღების დღეს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.“⁴⁸ „აღნიშნული ნორმის თანახმად, მოპასუხის მიერ საარბიტრაჟო დავის დაწყების შეტყობინების დღიდან, საარბიტრაჟო განხილვა

⁴⁷ „გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის“, 2017 წ., გვ. 123

⁴⁸ საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, მუხლი 26

დაწყებულად ითვლება და ამ მომენტიდან მოთხოვნა ნებისმიერ დროს შეიძლება წარედგინოს სასამართლოს. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მოთხოვნა სასამართლოს უნდა წარედგინოს არბიტრაჟის მიერ, ან მხარის მიერ, არბიტრაჟის თანხმობით. შესაბამისად, არბიტრის ან ტრიბუნალის დანიშვნა ასეთი მოთხოვნის განხორციელების წინაპირობაა.⁴⁹

აღსანიშნავი გარემოებაა, რომ საერთო სასამართლოს ჩარევის შეთხვევები საარბიტრაჟო წარმოებაში ზემოაღნიშნულით არ შემოიფარგლება. ძირითადი პრობლემები წარმოჩინდება გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების ეტაპზე, ასევე მასზე უარის თქმის, გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და ბათილად ცნობის დროს.

სახელმწიფო სასამართლოს საარბიტრაჟო საქმიანობაში ჩარევის საკითხების რეგულირებას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ფაქტობრივად, ყველაზე მეტად სწორედ აქ ხდება სახელმწიფოსა და არბიტრაჟის ინტერესთა პირდაპირი გამოკვეთა და ვინაიდან სწორედ სახელმწიფოს ნება თამაშობს უდიდეს როლს არბიტრაჟთა წარმატებით ფუნქციონირებაში, ჩვენი მიზანი უნდა იყოს, რომ აღნიშნული ინტერესები არ ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს, არამედ მოხდეს მათი თანხვედრა. ეს უნდა განხორციელდეს როგორც საკანონმდებლო ისე პრაქტიკულ დონეზე და არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო ინსტიტუტებთან მიმართებაში.⁵⁰

3.4. მტკიცების სხვა საშუალებანი

საარბიტრაჟო სამართალში, ისევე როგორც სამოქალაქო საპროცესო სამართალში მტკიცების საშუალებებია: მოწმის ჩვენება, წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები, მხარეთა ახსნა-განმარტებები და ექსპერტის დასკვნა.

მოწმის ჩვენება - მეტად გავრცელებული საშუალებაა და მასზე ზემოთ ვისაუბრეთ. მოწმეთა კომპეტენციას ამოწმებს თავად სასამართლო კანონით დადგენილი წესით. მოწმის კომპეტენციაში მოიაზრება მოწმის შესაძლებლობა სწორად აღიქვას მდგომარეობა, ახსოვდეს და მისცეს სწორი ჩვენება. იგივენაირად რომ ვთქვათ, ჩვენების მიმცემი პირი უნდა იყოს ქმედუნარიანი, სრულწლოვანი. მოწმეთა გამოძახება საარბიტრაჟო სასამართლოში ხდება მხოლოდ მხარეთა თანხმობით, თუმცა მხარეთა თანხმობით მოსამართლეს შეუძლია დაავალდებულოს მოწმე პროცესზე გამოცხადდეს. ან თუ მოწმე საპატიო მიზეზით ვერ ცხადდება პროცესზე, იგი ვალდებულია სასამართლოში გააგზავნოს დასაბუთებული წერილობითი ჩვენება. თუ მოწმის ჩვენება სადავოა, მისი ჩვენება სასამართლოზე რაიმე ზეგავლენას ვერ მოახდენს.

⁴⁹ „გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის“, 2017 წ., გვ.128

⁵⁰ „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“- ნ.ფიცხელაური,თბილისი 2015 წ., გვ. 203-204

წერილობითი მტკიცებულებები - წერილობით მტკიცებულებებს მეორენაირად ეძახიან დოკუმენტალურს. წერილობით მტკიცებულებაში მოიაზრება დოკუმენტი, რომელიც შედგენილია სიტყვით, ციფრით და რომელიც შესრულებულია ხელით, მექანიკურად ან სხვა ფორმით. წერილობითი მტკიცებულება მხარემ უნდა წარმოადგინოს დედნის სახით თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, თუმცა ზოგ შემთხვევებში შესაძლებელია ასლის წარმოდგენაც.

ნივთიერი მტკიცებულებები - მტკიცების ერთ-ერთი საშუალებაა ნივთიერი მტკიცებულება. ნივთიერი მტკიცებულებაა მაგალითად ფოტო, სურათი ან ვიდეო/აუდიო ჩანაწერი.

ექსპერტის დასკვნა - ექსპერტი მოწმისგან განსხვავებით იძლევა დასკვნას წარმოდგენილი ფაქტის საფუძველზე და გამოთქვამს მოსაზრებებს. ექსპერტად ითვლება პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა, უნარები და გამოცდილება კონკრეტულ საკითხში. თავისი დაკვირვების შედეგად, ექსპერტი აძლევს ჩვენებას სასამართლოს.

თავი 4 - დროებითი ღონისძიებები

4.1. დროებითი ღონისძიებების კონცეფცია, ცნება, შინაარსი, საფუძვლები, და გამოყენების პროცედურა საარბიტრაჟო პროცესში

დროებით ღონისძიებებს საარბიტრაჟო პროცესში ეწოდება სასწრაფო დროებით ზომებს, რომელიც მიმართულია განმცხადებლის ინტერესებისა და საკუთრების დაცვისაკენ. თანამედროვე საარბიტრაჟო პროცესში დროებითი ღონისძიებები გამოიყენება არა მხოლოდ საჩივრის განხილვის შემთხვევებში, არამედ ეკონომიკურ და სხვა სახის დავებზე, რომელიც წარმოიშვება ადმინისტრაციული თუ სხვა სამოქალაქო სამართალდაღვევის დროს. ყველა ამ შემთხვევაში, საარბიტრაჟო ტრიბუნალი იღებს ზომებს განმცხადებლის უფლებებისა და ინტერესების უზრუნველსაყოფად. ერთ-ერთი ამ ღონისძიებებიდან არის საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, რომლის შესახებაც დეტალურად ვისაუბრებ.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან მნიშვნელოვანი მტკიცებულება შეიძლება დაზიანდეს ან განადგურდეს, თუ ის არ იქნება უზრუნველყოფილი მხარის მიერ ისე, რომ მეორე მხარემ ვერ შეძლოს გარკვეული ქმედებების განხორციელება. კანონის თანახმად, საარბიტრაჟო სასამართლოს აქვს უფლებამოსილება გამოიყენოს სხვადასხვა სახის უზრუნველყოფის საშუალებები, თუ მომთხოვნი მხარე მათი საჭიროებისა და აუცილებლობის დადასტურებას შეძლებს. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები განსხვავდება საერთო სასამართლოებში წარდგენილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისგან იმ მიზეზით, რომ მათი გამოცემა შეუძლია როგორც თავად სასამართლოს, ისე არბიტრაჟს.⁵¹ ზოგადად, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობა გამორიცხავს სასამართლოს კომპეტენციას დავის არსებით განხილვაზე და ეს არ ვრცელდება მის უფლებამოსილებაზე, გადაწყვიტოს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხი. კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ ადგენს არბიტრაჟისა და სასამართლოს პარალელურ კომპეტენციებს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. მაშასადამე, მოსარჩელის გადასაწყვეტია, რომელ ორგანოს მიმართავს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნით - არბიტრაჟს თუ საერთო სასამართლოს.

სასამართლოს მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები და ბრძანებები. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება სასამართლოს მიერ ეფექტიანი ბერკეტია ნებისმიერი საარბიტრაჟო განხილვისას.⁵² იმ მხარემ, რომელიც გადაწყვეტს შუამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, უნდა დაასაბუთოს რომ არსებობს შემდეგი ღონისძიებები:

„(ა) საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ზიანი, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება

⁵¹ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 17., მუხლი 21.

⁵² „გზამკვლევი არბიტრაჟში სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის“, 2017 წ., გვ. 42

მეორე მხარისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებით; და საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებლობით გამოწვეული ზიანი მნიშვნელოვნად აღემატება იმ ზიანს, რომელიც, შესაძლოა, მიადგეს იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, ამ ღონისძიებების გამოყენების შემთხვევაში; და (ბ) არსებობს გონივრული ვარაუდი იმის შესახებ, რომ სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდება. აღნიშნული ვარაუდი გავლენას არ ახდენს არბიტრაჟის მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.“⁵³

1. წინასწარი ბრძანება. „თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან, მხარე უფლებამოსილია, მეორე მხარისათვის შეუტყობინებლად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნასთან ერთად, შეიტანოს განაცხადი წინასწარი ბრძანების გაცემის შესახებ, რომლითაც მეორე მხარეს დაეკისრება ვალდებულება, არ შეუშალოს ხელი მოთხოვნილი დროებითი ღონისძიებების მიზნის განხორციელებას. საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია, გასცეს წინასწარი ბრძანება, თუ ის ჩათვლის, რომ მხარისათვის, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია უზრუნველყოფის ღონისძიება, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიწოდება საფრთხეს უქმნის ღონისძიების მიზანს. მე-17ა მუხლში გათვალისწინებული პირობები ვრცელდება წინასწარ ბრძანებაზეც, იმის გათვალისწინებით, რომ ზიანი, რომელიც უნდა შეფასდეს მე-17ა (ა) მუხლით, არის ის ზიანი, რომელიც შესაძლებელია დადგეს, თუ წინასწარი ბრძანების გაცემა არ განხორციელდება“.⁵⁴

2. გარანტიის წარდგენა. საარბიტრაჟო ტრიბუნალს აქვს უფლებამოსილება, რომ დავის მონაწილე მხარეს, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე, მოთხოვოს აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა. საარბიტრაჟო ტრიბუნალი ასევე ვალდებულია, რომ მხარეს, რომელიც წინასწარი ბრძანების გაცემაზე შუამდგომლობს, მოსთხოვოს აღნიშნული ბრძანების გაცემასთან დაკავშირებით შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ტრიბუნალი ჩათვლის, რომ ამგვარი მოთხოვნა მიზანშეწონილი და ან გამართლებული არ არის.

3. ინფორმაციის გაცხადების ვალდებულება. საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია, მხარეებს მოსთხოვოს იმ ინფორმაციის დაუყოვნებლივ განცხადება, რომელიც უკავშირდება იმ გარემოებათა არსებით ცვლილებებს, რომელთა საფუძველზეც მოხდა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების მოთხოვნა ან გამოყენება. მხარე, რომელიც მოითხოვს წინასწარი ბრძანების გაცემას, ვალდებულია ტრიბუნალს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვან გარემოებად ბრძანების გამოცემისა ან მისი ძალაში დატოვების გადაწყვეტილების მიღებისათვის; ამგვარი ვალდებულება

⁵³ ICCA-ს ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე, INTERNATIONAL COUNCIL FOR COMMERCIAL ARBITRATION., 2013 წ., გვ. 183

⁵⁴ აქვე: ICCA-ს ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე, INTERNATIONAL COUNCIL FOR COMMERCIAL ARBITRATION., 2013 წ., გვ.185

გრძელდება იმ პერიოდამდე, სანამ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც მოითხოვება ბრძანების გამოცემა, მიეცემა შესაძლებლობა, წარმოადგინოს მისი საქმე.⁵⁵

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახეებია: ყადაღა (როგორც უძრავ ქონებაზე ისე საბანკო ანგარიშებზე), მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა, მოპასუხის ვალდებულება, გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი აღმასრულებელს, სხვა პირისათვის იმის აკრძალვა, რომ მოპასუხეს გადასცეს ქონება ან შეასრულოს მის მიმართ რაიმე სახის ვალდებულება, ყადაღისგან ქონების განთავისუფლების შესახებ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში ქონების რეალიზაციის შეჩერება, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის სადავო აქტის მოქმედების შეჩერება, სააღსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერება. ისევე როგორც საერთო სასამართლოში, საარბიტრაჟო სასამართლოშიც არის შესაძლებელი სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების შეტანა სარჩელის აღძვრამდეც, თუკი გადაუდებელი გარემოება არის სახეზე.

4.2. დროებითი ღონისძიებების ჩანაცვლება და გაუქმება

საჩივრის უზრუნველყოფის ღონისძიებები შესაძლებელია შეიცვალოს, რადგან პირველ რიგში შეიძლება ის არაეფექტური აღმოჩნდეს და არ უზრუნველყოფდეს განმცხადებლის ინტერესებს და მეორე, წარმოდგენილ სარჩელთან შედარებით ძალიან გაზედმეტებული აღმოჩნდეს და მოპასუხეს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგეს. სარჩელის უზრუნველყოფის დროს კი სასამართლოს ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, არ დაუშვას რომელიმე მხარის მიმართ არათანაზომიერი მოპყრობა და გაითვალისწინოს პროცესის მონაწილის ფინანსური და სამართლებრივი მდგომარეობა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ თავის განჩინებაში განმარტა, რომ „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი მოსარჩელის უფლებასა (უზრუნველყოს სასამართლო წესით სამომავლოდ დადასტურებული უფლების რეალიზაცია) და მოპასუხის ინტერესს (უზრუნველყოფის ღონისძიებამ გაუმართლებლად არ ხელყოს მისი, როგორც მოპასუხის უფლებები) შორის. გარდა ამისა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას უზრუნველყოფის ღონისძიების, როგორც საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტის, მთავარი პრინციპი - აღსრულდეს სასამართლო გადაწყვეტილება. სარჩელის უზრუნველყოფის არსიდან გამომდინარე, სასამართლო არჩევს უზრუნველყოფის ღონისძიებას სასარჩელო მოთხოვნის ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე. უზრუნველყოფის ღონისძიებით შეზღუდული უფლება უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის ადეკვატური. დაუშვებელია, უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა და ამგვარად, მხარეთა არათანაბარ პირობებში ჩაყენება. ამასთან, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უნდა იყოს განპირობებული იმ ვარაუდით, რომ სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოებები იურიდიულად

⁵⁵ აქვე: ICCA-ს ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე, INTERNATIONAL COUNCIL FOR COMMERCIAL ARBITRATION., 2013 წ., გვ.186

ქმნის სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. ამასთან, უფლების დროებით შეზღუდვის დროს მნიშვნელოვანია გონიერი ბალანსის დაცვა დაცულ სიკეთესა და შეზღუდულ უფლებას შორის.⁵⁶ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა გულისხმობს გამოყენებული ღონისძიების შეცვლას ახალ ღონისძიებაზე, მაგალითად უძრავ ქონებაზე ყადაღის მოხსნა და საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება. უზრუნველყოფის ერთი ღონისძიების შეცვლა მეორე ღონისძიებაზე შესაძლებელია მოსარჩელის ან მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე. უზრუნველყოფის ზომების შეცვლა დასაშვებია კანონით არასამართლებრივი შედეგების თავიდან აცილების მიზნით. მაგალითად, არ შეიძლება ყადაღა დაედოს იმ უძრავ ქონებას, რომელსაც კანონიერად ფლობს მოპასუხე და ამავდროულად სახეზე არ არის ამ ზომის გამოყენების გადაუდებელი და აუცილებელი მიზეზები.

უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება გაუქმდეს საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მხოლოდ იმ პირის შუამდგომლობით, რომელიც ამავდროულად პროცესის მონაწილეა.

4.3. წინასწარი დროებითი ღონისძიებები

წინასწარი დროებითი ღონისძიებები არის საარბიტრაჟო სასამართლოში სარჩელის შეტანამდე განმცხადებლის ქონებრივი ინტერესის დაცვა. წინასწარი დროებითი ღონისძიებები მიიღება სამოქალაქო საპროცესო საქმისწარმოების პროცედურული წესების შესაბამისად. აღნიშნული ღონისძიება სასამართლოს მიერ მიღებული იქნება იმ შემთხვევაში, თუკი მას წარადგენს თავად დაინტერესებული პირი - ორგანიზაცია ან ფიზიკური პირი. განცხადება წინასწარი დროებითი ღონისძიების მიღების შესახებ საარბიტრაჟო სასამართლოს წარედგინება განმცხადებლის მისამართის, ან ფულადი სახსრების ადგილსამყოფელის მიხედვით. რასაკვირველია, საარბიტრაჟო სასამართლო უფლებამოსილია უარი თქვას წინასწარი ღონისძიების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე თუკი: ა) ცნობილია მოვალის ადგილსამყოფელი; ბ) ან ცნობილია მოვალის ქონების ან ფულადი სახსრების მისამართი; გ) სასამართლოს მიერ გამოყენებული სხვა სახის ღონისძიება უფრო ეფექტური იქნებოდა.

⁵⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 იანვრის განჩინება., საქმე N 28/4923-15

თავი 5 - საარბიტრაჟო სასამართლოს ხარჯები, ჯარიმები

5.1. სასამართლოს ხარჯები

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების მხარეთა შორის განაწილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს არბიტრაჟი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.⁵⁷

საარბიტრაჟო ხარჯები შედგება: ა) საარბიტრაჟო ცენტრის ადმინისტრაციული გადასახადისგან; ბ) არბიტრთა ჰონორარისგან და მათი ხარჯებისგან; გ) საარბიტრაჟო ტრიბუნალის და საარბიტრაჟო ცენტრის სხვა ხარჯებისგან. (შემდგომში ერთობლივად „საარბიტრაჟო ხარჯები“). საარბიტრაჟო ხარჯებისთვის მხარეები სოლიდარულად და ცალ-ცალკე არიან პასუხისმგებელი არბიტრების და საარბიტრაჟო ცენტრის წინაშე. არბიტრთა ჰონორარს და საარბიტრაჟო ცენტრის ადმინისტრაციულ გადასახადს განსაზღვრავს სამდივნო საარბიტრაჟო საქმის დაწყების დღეს მოქმედი ხარჯების ცხრილის (წესების დანართი I) მიხედვით. საარბიტრაჟო ხარჯები განისაზღვრება საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში, რომელშიც ასევე განსაზღვრული უნდა იყოს, რომელმა მხარეებმა როგორი პროპორციით უნდა გადაიხადონ ეს ხარჯები. საარბიტრაჟო ხარჯების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას საარბიტრაჟო ტრიბუნალმა შეიძლება გაითვალისწინოს ის გარემოებები, რომლებსაც შესაფერისად მიიჩნევს, მათ შორის, საქმის საბოლოო შედეგი და მხარეთა მოქმედებები, რომლებიც საქმის სწრაფი და მოქნილი გადაწყვეტის ხელშეწყობისკენ იყო მიმართული. საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღებამდე საარბიტრაჟო სარჩელის გამოთხოვნის ან ყველა მხარის მორიგების მიღწევის შემთხვევაში, სამდივნო ზუსტად განსაზღვრავს საარბიტრაჟო ხარჯებს (რეგისტრაციის საფასურის გამოკლებით), რომლის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ამ მომენტის დადგომამდე გაწეულ ხარჯებს. საარბიტრაჟო ხარჯების განსაზღვრისას სამდივნო მხედველობაში იღებს საარბიტრაჟო პროცესის ეტაპს, საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ შესრულებულ მოქმედებებს და სხვაშესაბამის გარემოებებს. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები არ შეთანხმებულან საარბიტრაჟო ხარჯების გადანაწილებაზე ან ამ ხარჯებთან დაკავშირებულ შესაბამის საკითხებზე, აღნიშნულ ხარჯებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი გადაანაწილებს. თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი ჯერ არ არის შექმნილი საარბიტრაჟო ხარჯების გადანაწილების საკითხს გადაწყვეტს სამდივნო. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა შეიძლება საარბიტრაჟო საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მიიღოს გადაწყვეტილება ხარჯების (მათ შორის, საარბიტრაჟო ხარჯების) და მათი გადახდის დავალების შესახებ. საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია საბოლოო ან ნაწილობრივი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაავალოს მხარეს ან მხარეებს ნებისმიერი ხარჯის გადახდა, რომელიც მეორე მხარემ გასწია, მათ შორის, იურიდიული წარმომადგენლის ხარჯების გადახდა, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.⁵⁸

⁵⁷ საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ მუხლი 37

⁵⁸ GIAC საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი., საარბიტრაჟო წესები., მუხლი 43

5.2. სახელმწიფო ბაჟი

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის 1 ა) ¹ და ამავე მუხლის ა ² მიუთითებს, რომ ა 1) საარბიტრაჟო წარმოებაში მოწმის დასწრების უზრუნველყოფაში და მტკიცებულებათა მოპოვებაში სასამართლოს დახმარების თაობაზე განცხადებაზე, არბიტრის დანიშვნასთან, აცილებასთან, უფლებამოსილების შეწყვეტასთან, კომპეტენციასთან დაკავშირებულ განცხადებაზე – 50 ლარი, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული; ა2) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივარზე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებაზე – 150 ლარი, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ⁵⁹

5.3. დამატებითი ხარჯები

უმეტეს შემთხვევაში, საარბიტრაჟო ხარჯების რეგულაცია სასამართლო ბაჟის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რეგულაციის მოდელზეა მორგებული და მოიცავს არბიტრაჟის ხარჯებსა და არბიტრაჟის გარეშე ხარჯებს, ხოლო საარბიტრაჟო მოსაკრებელი კი არბიტრაჟის ხარჯებში შედის. არბიტრთა ანაზღაურებასთან დაკავშირებით კი არაერთგვაროვანი მიდგომაა. ზოგი საარბიტრაჟო ინსტიტუტი სთავაზობს მომხმარებელს არბიტრთა ანაზღაურების წინასწარ განსაზღვრულ ცხრილს, რომელიც საარბიტრაჟო წარმოების წესებში ან დებულებაშია. აქედან გამომდინარე, რაიმე ცალკე ხელშეკრულება ინსტიტუტსა და არბიტრს არ იდება. მაგალითად, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი თავისი დებულების 42-ე მუხლში განსაზღვრავს ხარჯების ავანსს. აღნიშნული დებულების 42-ე მუხლის თანახმად, „სამდივნოს მიერ ამ მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ ხარჯების ავანსს საარბიტრაჟო მოსარჩელე და საარბიტრაჟო მოპასუხე იხდიან თანაბრად. როდესაც საარბიტრაჟო მოპასუხე წარადგენს შეგებებულ სარჩელს, სამდივნოს უფლება აქვს, ცალკე განსაზღვროს ხარჯების ავანსი შეგებებული სარჩელის მოთხოვნებზე. ამგვარი ხარჯების ავანსის განსაზღვრის შემდეგ თითოეული მხარე სამდივნოს მიერვე განსაზღვრულ ვადაში იხდის ამ ხარჯების ავანსს თავისი მოთხოვნების შესაბამისად. თუ ერთ-ერთი მხარე რომელიმე მოთხოვნასთან დაკავშირებით ითხოვს მოთხოვნის გაქვითვას, ამგვარი მოთხოვნა გათვალისწინებული უნდა იყოს ხარჯების ავანსის განსაზღვრისას, ისევე, როგორც ცალკე დაყენებული მოთხოვნა, რადგან საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეიძლება აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით დამატებითი საკითხების გადაწყვეტა მოუხდეს. როდესაც მოთხოვნები დაყენებულია წესების მე-11 მუხლის შესაბამისად, სამდივნო განსაზღვრავს ერთ ან მეტ ხარჯების ავანსს, რომლებიც მხარეებმა უნდა გადაიხადონ სამდივნოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. როდესაც ხარჯების ავანსი უკვე განსაზღვრული იყო, მათ ამ მუხლით გათვალისწინებული ხარჯები ავანსი ჩაანაცვლებს. სამდივნოს მიერ ამ მუხლის შესაბამისად განსაზღვრული ხარჯები ავანსი შეიძლება საარბიტრაჟო საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე დაზუსტდეს.

⁵⁹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ მე-4 მუხლი 1 ნაწილი ა ¹ და ამავე მუხლის ა ²

ყველა შემთხვევაში, ნებისმიერი მხარე თავისუფალია გადაიხადოს მეორე მხარისთვის დადგენილი ხარჯების ავანსის ნაწილი, თუ მეორე მხარე არ გადაიხდის თავის ნაწილს, რაც საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მხარის მოთხოვნის საფუძველზე. თუ მხარე არ გადაიხდის ხარჯების ავანსს, სამდივნო მეორე მხარეს მიმართავს ამ ხარჯების განსაზღვრულ ვადაში გადახდის მოთხოვნით. თუ აღნიშნული ხარჯები არ გადაიხდება, სამდივნო უფლებამოსილია საარბიტრაჟო ტრიბუნალთან კონსულტაციის შემდეგ შეაჩეროს საქმის განხილვა და ხარჯების ავანსის გადახდისთვის დამატებითი ვადა დააწესოს, რომლის გასვლის შემდეგაც ხარჯების ავანსის გადაუხდელობის შემთხვევაში სამდივნო წყვეტს საქმის განხილვას ხარჯების ავანსის ნაწილს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უბრუნებს მხარეს. იმ შემთხვევაში თუ არცერთი მხარე არ გადაიხდის ხარჯების ავანსს ამ მუხლის შესაბამისად, საარბიტრაჟო საქმე შეწყდება. ასეთ შემთხვევებში, საარბიტრაჟო მოსარჩელე არ კარგავს იმავე მოთხოვნების სხვა საარბიტრაჟო საქმეზე დაყენების უფლებას. სამდივნომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ხარჯების ავანსი წარდგენილ იქნეს საბანკო გარანტიის ან სხვა უზრუნველყოფის საშუალების ფორმით.⁶⁰

⁶⁰ GIAC საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი., საარბიტრაჟო წესები., მუხლი 42

თავი 6 - საარბიტრაჟო პროცესის ვადები

6.1. საპროცესო ვადები, საპროცესო ვადის ათვლა

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, ამ კანონით დადგენილი დღეებით გამოსათვლელი ვადის დინება იწყება იმ მოვლენის დადგომის შემდგომი დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.; თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, არბიტრაჟის მიერ მხარეთა შორის დავის განხილვის (საარბიტრაჟო განხილვის) დაწყების საფუძველია მხარის საარბიტრაჟო პრეტენზია, რომელიც უნდა გაეგზავნოს მეორე მხარესა და არბიტრაჟის თავმჯდომარეს, ხოლო თუ არბიტრაჟის თავმჯდომარე ჯერ არ არის არჩეული – არბიტრაჟის ყველა დანიშნულ წევრს; საარბიტრაჟო განხილვა უნდა დაიწყოს საარბიტრაჟო პრეტენზიის არბიტრაჟში წარდგენიდან 10 დღის ვადაში. თუ საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენისას არბიტრაჟის შემადგენლობა არ არის არჩეული, საარბიტრაჟო განხილვა უნდა დაიწყოს არბიტრაჟის ყველა წევრის დანიშვნიდან 10 დღის განმავლობაში, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

„საარბიტრაჟო სარჩელი წარმოებაში მიიღება არბიტრაჟში სარჩელის შემოტანიდან არაუგვიანეს 20 დღის ვადაში, რის თაობაზეც საარბიტრაჟო დავის ერთპიროვნულად განმხილველ არბიტრს ან მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს გამოაქვს დადგენილება საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღების თაობაზე წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით. თუ მხარეთა მიერ არ არის შეთანხმებული არბიტრის/არბიტრების დანიშვნის წესი, საქმეს არბიტრის/არბიტრების დანიშვნამდე ამზადებს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე. გზავნილი და უწყება მოპასუხეს უნდა ჩაჰბარდეს ამ დებულების მე-7 მუხლით დადგენილი წესით და განესაზღვროს გონივრული ვადა მოპასუხისათვის „არბიტრაჟის შესახებ“ კანონით და ამ დებულებით დადგენილი საარბიტრაჟო-საპროცესო უფლებამოსილების განხორციელებისათვის, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის დინება იწყება იმ მოვლენის დადგომის შემდგომი დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.“⁶¹

„არბიტრის დანიშვნის, აცილებისა და უფლებამოსილების შეწყვეტის საპროცესო ვადები. მხარეთა შეთანხმების არარსებობისას მხარე, რომელსაც განზრახული აქვს აცილება გამოუცხადოს არბიტრს, ვალდებულია აცილების შესახებ წერილობითი განცხადება წარუდგინოს არბიტრაჟს 15 დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც მისთვის

⁶¹ შპს „საარბიტრაჟო სასამართლო ლეგის“ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება., მუხლი 18

ცნობილი გახდა შესაბამისი არბიტრის დანიშვნა „არბიტრაჟის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის აცილების საფუძველია. განცხადებაში უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები. თუ არბიტრი, რომლის აცილების საკითხიც განიხილება, არ აცხადებს თვითაცილებას ან თუ მეორე მხარე არ ეთანხმება აცილებას, წერილობითი განცხადების წარდგენიდან 30 დღის ვადაში, მაშინ აცილების საკითხს გადაწყვეტს არბიტრაჟი ამ ვადის ამოწურვიდან 30 დღეში. თუ აცილების შესახებ მხარის განცხადება არბიტრაჟმა არ დააკმაყოფილა, მხარეს, რომელიც აცხადებს აცილებას, შეუძლია აცილებაზე უარის თქმის შესახებ არბიტრაჟის გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის აცილების მოთხოვნით. აცილების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე არბიტრაჟს შეუძლია გააგრძელოს საარბიტრაჟო განხილვა იმ არბიტრის მონაწილეობით, რომლის აცილებასაც ითხოვს მხარე და გამოიტანოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის ან სხვა რაიმე მიზეზით უმოქმედობის შემთხვევაში არბიტრს შეიძლება შეუწყდეს უფლებამოსილება საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე ან მხარეთა შეთანხმებით. აღნიშნულ შემთხვევებში შეთანხმების მიუღწევლობისას ერთ-ერთ მხარეს შეუძლია არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნის დაყენებიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნით. სასამართლოს აღნიშნულ საკითხზე გამოაქვს გადაწყვეტილება განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.“⁶²

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საარბიტრაჟო სასამართლოს ერთ-ერთ ღირებულებად შეიძლება ჩაითვალოს სისწრაფე, რითიც ის ვალდებულია დაასრულოს საქმე. მაშასადამე, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილება 6 თვეში და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო საბჭო ჩათვლის საჭიროდ, მას შეუძლია ეს ვადა გააგრძელოს, საარბიტრაჟო ტრიბუნალის გონივრული მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

⁶² აქვე: შპს „საარბიტრაჟო სასამართლო ლეგიას“ მუდმოვმოქმედი არბიტრაჟის დებულება., მუხლი 19

თავი 7 - საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

7.1. ცნობისა და აღსრულების სამართლებრივი შინაარსი

„საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება არის კერძო ავტონომიის შედეგად გამართული საარბიტრაჟო პროცესის შედეგის. „კერძო აქტის“ - საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საჯარო-სამართლებრივი აღიარება.“⁶³ ეს ყველაფერი კი საჭიროა კანონიერების პრინციპის გათვალისწინებით. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას სახელმწიფო მანამდე არ ცნობს, სანამ არ შემოწმდება, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის დროს დაცული იყო სამართლიანი სასამართლოს პრინციპი.

საარბიტრაჟო დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხი. რომ არა სააღსრულებო გარანტიები, დავის საარბიტრაჟო განხილვას აზრი არ ექნებოდა. საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიმართ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ სააპელაციო სასამართლოები, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით კი - საქართველოს უზენაესი სასამართლო. მხარემ, რომელიც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე შუამდგომლობს, უნდა წარმოადგინოს: 1. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული დედანი ან მისი სათანადო წესით დამოწმებული ასლი; 2. საარბიტრაჟო შეთანხმების (დათქმის) დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა, თავისი სამართლებრივი ბუნებით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისაგან განსხვავდება, ვინაიდან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა წინ უსწრებს მის აღსრულებას. ცნობა კი თავის მხრივ გულისხმობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისთვის სამართლებრივი ძალის მინიჭებას სასამართლოს მხრიდან. გადაწყვეტილების აღსრულება კი გულისხმობს უკვე ცნობილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისთვის აღსრულებადი ძალის მინიჭებას. ამდენად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა მისი აღსრულებაში მიქცევის წინაპირობაა.⁶⁴

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების პროცესს განსაზღვრავს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ განცხადების ან შუამდგომლობის განხილვის მიმართ ვრცელდება ნებისმიერი სარჩელის, განცხადებისა თუ შუამდგომლობისათვის დადგენილი საპროცესო მოთხოვნები და პროცედურები. თუმცა არის რიგი საკითხებისა, რასაც სსსკ განსხვავებულად აწესრიგებს, მაგალითად, არბიტრაჟის

⁶³ „გზამკვლევი არბიტრაჟში სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის“, 2017 წ., გვ. 93

⁶⁴ აქვე: „გზამკვლევი არბიტრაჟში სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის“, 2017 წ., გვ. 93

მთავარი თვისების-სისწრაფის უზრუნველსაყოფად, საარბიტრაჟო სარჩელი უფრო შემჭიდროვებულ ვადებში განიხილება.

არბიტრაჟის გადაწყვეტილებას სავალდებულო ძალა აქვს საარბიტრაჟო პროცესის იმ მონაწილეებისთვის, რომელთაც დაევალით ვალდებულების შესრულება. როგორც წესი, პროცესის მონაწილეები ნებაყოფლობით ასრულებენ სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, თუმცა იმ დროს, როცა გადაწყვეტილება ნებაყოფლობით არ სრულდება გამოიყენება იძულებითი აღსრულების წესები.

მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე შუამდგომლობის განხილვის დროს სააპელაციო სასამართლო მოიშველიებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ ზოგად ნორმებს და ამავდროულად ყურადღებას ამახვილებს არბიტრაჟის სპეციფიკურ დეტალებზე.

7.2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება, თუმცა საქართველოს კანონი ითვალისწინებს საპროცესო-სამართლებრივ საშუალებას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაუქმებლად. კერძოდ, იმ მხარეს, რომელსაც აქვს პრეტენზია შეუძლია მოითხოვოს მისი გაუქმება. „როგორც წესი, გაუქმებისა და ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები ერთნაირია. სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და მისი აღსასრულებლად მიქცევა ნიშნავს, რომ უარის თქმის საფუძვლები არ არსებობს, აქედან გამომდინარე, არც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები შეიძლება არსებობდეს. ამ პროცესში გასაჩივრების მაგივრად ხდება დადგენა. ეს იმას ნიშნავს, რომ მხარე მიმართავს სასამართლოს არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებლად, არამედ ადასტურებს მის სავალდებულო ძალას.“⁶⁵

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე გადაწყვეტილება გამოაქვს სააპელაციო სასამართლოს განჩინების ფორმით. განჩინებასთან ერთად მხარეს სააღსრულებო ფურცელი ეძლევა. კანონით ამომწურავად არის გათვალისწინებული გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები:“ მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იქნა გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მხარეს შეიძლება უარი ეთქვას ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, თუ: ა) მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, სასამართლოს განცხადებით მიმართავს და დაამტკიცებს, რომ: ა.ა) საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების დროს მხარე იყო არაუფლებამოსილი ან მხარდაჭერის მიმღები, რომელსაც საარბიტრაჟო შეთანხმებაში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით მხარდამჭერი ჰყავდა დანიშნული, მაგრამ შესაბამისი მხარდაჭერა არ მიუღია, ან იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიუთითეს, ხოლო ასეთი მითითების

⁶⁵ „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“- ნ.ფიცხელაური,თბილისი 2015 წ., გვ. 142

არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია, ა.ბ) იგი არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვაგვარად არ მიეცა შესაძლებლობა, წარმოედგინა საკუთარი პოზიცია ან დაეცვა თავისი ინტერესები; ა.გ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც მხარეებმა არბიტრაჟში არ წარადგინეს, ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება. თუ გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში ექცევა, შეიძლება გამოცალკევებულ იქნეს იმ საკითხებისგან, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება ცნობილ და აღსრულებულ იქნეს ნაწილობრივ, მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში მოქცეულ საკითხებზე გადაწყვეტილებას შეიცავს; ა.დ) არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონის მოთხოვნებს, სადაც ჩატარდა საარბიტრაჟო განხილვა, ა.ე) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში ანდა იგი გააუქმა ან შეაჩერა იმ ქვეყნის სასამართლომ, სადაც ეს გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი; ბ) სასამართლო დაადგენს, რომ: ბ.ა) საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი; ბ.ბ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კი დაუშვებელია საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ განცხადებით სასამართლოსთვის მიმართვა იმავე საფუძველით, რომლითაც მხარე ითხოვდა აღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას, ან იმ შემთხვევაში, თუ მხარემ არ გაასაჩივრა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ამ კანონის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში.⁶⁶

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საკითხის განხილვისას, სასამართლო ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს:

1. გაუქმებას ექვემდებარება საარბიტრაჟო ტრიბუნალის ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც მოიცავს ტრიბუნალის საბოლოო გადაწყვეტილებას არსებით მატერიალურ საკითხზე;
2. გაუქმებას ექვემდებარება ტრიბუნალის გადაწყვეტილება, რომლითაც ტრიბუნალმა დაამტკიცა მხარეთა შორის მიღწეული მორიგება;
3. გაუქმებას არ ექვემდებარება ტრიბუნალის გადაწყვეტილებები შუალედური ღონისძიების გამოყენებაზე;

⁶⁶ საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ მუხლი 45.1., 45.2

4. გაუქმებას არ ექვემდებარება საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებები პროცესუალურ საკითხებზე, რომლებსაც ტრიბუნალი იყენებს პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის.⁶⁷

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე საჩივრის წარმოებაში მიღებისათვის სასამართლო ამოწმებს შემდეგ საკითხებს: არის თუ არა საჩივარი აღნიშნული სასამართლოს განსჯადი; აყენებს თუ არა მოთხოვნას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე უფლებამოსილი პირი; წარდგენილია თუ არა საჩივარი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე კანონით დადგენილ ვადაში, ერთვის თუ არა საარბიტრაჟო საჩივარს კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაციის ნუსხა და წარდგენილია თუ არა საჩივარი იმავე საფუძველებით, რომლებსაც მხარე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა აღსრულების განხილვისას ეყრდნობოდა. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

განსჯადობის დასადგენად, სასამართლო ამოწმებს ითხოვს თუ არა მხარე საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას და ასევე წარდგენილია თუ არა საჩივარი სააპელაციო სასამართლოში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის შესაბამისად.

მას შემდეგ, რაც სასამართლო დარწმუნდება, რომ მხარე ითხოვს საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას, იგი ასევე ამოწმებს, სწორად არის თუ არა წარდგენილი საჩივარი ტერიტორიული განსჯადობის კუთხით. საქართველოში საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა გაუქმების საკითხს განიხილავენ სააპელაციო სასამართლოები. კანონის შესაბამისად, ტრიბუნალი ვალდებულია, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მიუთითოს მისი გამოტანის ადგილი. შესაბამისად, სასამართლომ მხარის მიერ წარდგენილი საჩივრის საფუძველზე, რომელსაც თან ერთვის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მარტივად უნდა დაადგინოს სად არის გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საქართველოს მასშტაბით და განსაზღვროს, ექცევა თუ არა მის კომპეტენციაში გაუქმების საკითხის განხილვა ტერიტორიული განსჯადობის კუთხით.

საპროცესო კანონმდებლობა ცალსახად მიუთითებს, რომ არბიტრაჟთან დაკავშირებული საქმეების მიზნებისათვის, მხარედ მოიაზრება საარბიტრაჟო შეთანხმების მონაწილე პირი, მისი უფლებამონაცვლე, ან უფლებამოსილი წარმომადგენელი. ამავდროულად, კანონის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, გააუქმოს საქართველოში მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, თუ მას საჩივრით მიმართავს მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია ეს გადაწყვეტილება. ამდენად, სსსკ-ისა და კანონის შესაბამისად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე საჩივრის წარდგენის უფლება აქვს საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეს, რომელიც ამავდროულად იყო საარბიტრაჟო წარმოების მხარე და რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

⁶⁷ „გზამკვლევი არბიტრაჟში სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის“, 2017 წ., გვ. 73

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე განცხადების წარმოებაში მიღებისათვის სასამართლომ ასევე უნდა შეამოწმოს, წარდგენილია თუ არა საჩივარი კანონით დადგენილ ვადაში. მხარემ საჩივარი უნდა წარმოადგინოს მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 90 დღის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ ვადის საკითხი არაერთხელ აქვთ განხილული საქართველოს საერთო სასამართლოებს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ვადის საკითხზე მსჯელობისას მიუთითა, რომ კანონის შესაბამისად, მხარემ საჩივარი უნდა წარმოადგინოს დასაბუთებული გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარებიდან 90 დღის განმავლობაში, ხოლო ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია. ვადა განსხვავებულად აითვლება, თუ რომელიმე მხარის მიერ მოთხოვნილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესწორება და განმარტება, ან/და დამატებითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა. ასეთ შემთხვევაში, ვადის ათვლა იწყება აღნიშნულ მოთხოვნაზე არბიტრაჟის ს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების მხარეთათვის ჩაბარების მომენტიდან.

კანონსა და სსსკ-ში არ გვხვდება ჩანაწერი იმ დოკუმენტებზე, რომლებიც მხარემ უნდა წარადგინოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საჩივართან ერთად. თუმცა კანონი, ისევე როგორც სსსკ, მიუთითებს, რა დოკუმენტები უნდა წარადგინოს მხარემ, რომელიც სასამართლოს მიმართავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების მოთხოვნით. კერძოდ, მხარემ სასამართლოში უნდა წარადგინოს: (ა) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი; (ბ) საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი. ამავდროულად, თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ან შეთანხმება უცხო ენაზეა შესრულებული, მხარემ უნდა წარმოადგინოს მისი სათანადოდ დამოწმებული თარგმანი. პრაქტიკაში ეს დოკუმენტები მოითხოვება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საჩივართან ერთადაც. აღნიშნული მიდგომა მიზანშეწონილია, ვინაიდან მხარეებზე განსხვავებული მტკიცების ტვირთისა და დოკუმენტების წარდგენის ვალდებულების დაკისრება ამ ორი პროცესის ფარგლებში არ იქნებოდა მოდელოური კანონის პრინციპების შესაბამისი.⁶⁸

7.3. სასამართლო პრაქტიკა

„საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში საარბიტრაჟო შეთანხმებების ვიწრო განმარტების ტენდენციაა.“⁶⁹ თანამედროვე საარბიტრაჟო სასამართლოს სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს რამდენიმე საკითხი, რაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა. ერთ-ერთ მიზეზად საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დავასახელოთ.

სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება მხოლოდ მაშინაა კანონთან შესაბამისი, თუკი მხარეთა შეთანხმებით კონკრეტული მუდმივმოქმედი არბიტრაჟია განსაზღვრული. სასამართლო პრაქტიკა მიუთითებს,

⁶⁸ „გზამკვლევი არბიტრაჟში სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის“, 2017 წ. გვ. 78-80

⁶⁹ „არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში“, 2018 წ., გვ 27

რომ საკმაოდ ხშირად მხარეებს შორის საარბიტრაჟო შეთანხმება თანასწორუფლებიანობის საფუძველზე არ იდება. ხშირ შემთხვევებში მითითებულად კი არ არის თუ რომელი კონკრეტული არბიტრაჟია უფლებამოსილი განიხილოს დავა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ „მხარეები ნამდვილი ნების გამოხატვის საფუძველზე ერთობლივად და თანასწორად განსაზღვრავენ უკვე წარმოშობილ ან სამომავლო შესაძლო დავების გადაწყვეტის წესს. შესაბამისად, ორივე მხარეს თანაბარ პირობებში და თანასწორობის საწყისებზე შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება დავის არბიტრაჟის მიერ განხილვის თაობაზე. ნებისმიერი შეთანხმება, რომლითაც მხარეებს სურთ მათ შორის არსებული დავის განხილვა არბიტრაჟის მიერ შინაარსობრივად უნდა შეიცავდეს იმ მინიმუმს, რომელიც აუცილებელია საარბიტრაჟო შეთანხმებად მისი კვალიფიკაციისთვის. განსახილველ შემთხვევაში, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი, ამიტომაც განმცხადებელს უარი უნდა ეთქვას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე.“⁷⁰

ასევე, სააპელაციო სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს საჯარო წესრიგის პრინციპს. ამ მხრივ საინტერესო გადაწყვეტილებებია:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება. პალატამ განმცხადებლის მოთხოვნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულების შესახებ არ დააკმაყოფილა იმ მიზეზის გამო, რომ სადავო უძრავი ქონება მამკვიდრებლის საკუთრებაში არც ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში და არც საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ ყოფილა. ამიტომ, ასეთი ქონების თაობაზე მემკვიდრეთა შორის დავის განხილვა და მასზე უფლების დადგენასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოტანა სასამართლომ სამოქალაქო სამართლის ძირითადი პრინციპების დარღვევად მიიჩნია. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს დასაბუთება სწორია, იქედან გამომდინარე, რომ დავის განხილვა იმ ქონებაზე, რომელიც არ წარმოადგენს საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეთა საკუთრებას ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.⁷¹

ერთ-ერთი საინტერესო გარემოებაა დავის მონაწილე მხარეთა ჯეროვანი ინფორმირების საკითხი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ თავის განჩინებაში განმარტა, რომ საჯარო პრინციპებიდან გამომდინარე საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ საარბიტრაჟო მოპასუხის მისამართად თუნდაც რეგისტრირებული იურიდიული მისამართის მითითება, რომელზეც მოპასუხეს არბიტრაჟის მიერ გაგზავნილი უწყება არ ბარდება, არ ათავისუფლებს საარბიტრაჟო მოსარჩელეს მისთვის ცნობილი მოპასუხის ფაქტობრივი მისამართის ან სხვა საშუალებით შეტყობინების ვალდებულებისგან. პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხედ

⁷⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება N 28/1213-12

⁷¹ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, N28/294-10

იურიდიული პირის მითითების დროს, საარბიტრაჟო მოსარჩელეს უნდა მოეთხოვოს ყველა შესაძლო რეკვიზიტის მითითება.⁷²

ასევე მნიშვნელოვანია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, სადაც პალატამ განმარტა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილიდან ცხადი ხდება, რომ არბიტრაჟს არ გამოურკვევია იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრის ვინაობა და შესაბამისად, არბიტრაჟი იყო ვალდებული საარბიტრაჟო წარმოებისას მხარედ უძრავი ნივთის მესაკუთრე მიეწვია, ვინაიდან საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება გავლენას ახდენს მის უფლებებსა და მოვალეობებზე. სააპელაციო პალატის მიერ არბიტრაჟიდან გამოთხოვილი მასალებით კი ირკვევა, რომ არბიტრაჟს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრისთვის არ გაუგზავნია შეტყობინება და არ უცნობებია მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მიმართ საარბიტრაჟო წარმოების დაწყებისა და შესაძლო რეალიზაციის თაობაზე. ამდენად, პალატის აზრით კონკრეტულ შემთხვევაში დარღვეულ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი საქართველოს კანონის „არბიტრაჟის შესახებ“ 45.1.ბ.ბ მიხედვით.⁷³

ერთ ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო და სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკის მაგალითებზეც ჩანს, რომ ხშირია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნაწილობრივ ცნობასთან დაკავშირებით განჩინებები სწორედ ზემოთხსენებული მიზეზის გამო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 418 მუხლი არეგულირებს პირგასამტეხლოს განაწილების საკითხს და მიუთითებს, რომ ხელშეკრულების მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს. მიუხედავად ამ დათქმისა, სასამართლო თვლის, რომ ძალიან ხშირად საქმეში მითითებული პირგასამტეხლო ზედმეტად მაღალია და კარგავს თავის დანიშნულებას, ვინაიდან იქცევა მოვალის ე.წ. „დასჯის“ მექანიზმად. კანონმდებლობის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ტავად განსაზღვრავს პირგასამტეხლოს ოდენობას და შემდეგ უქვემდებარებს იძულებით აღსრულებას. ამ მხრივ საინტერესოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის შემდეგი განჩინებები: საქმე N 28 /176-12, N 28 /1209-12, N 28/1355-12.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა პირგასამტეხლოს შემცირების შესახებ სწორი და სამართლიანი მიდგომაა, ვინაიდან იგი მხედველობაში ღებულობს, თუ როგორია პირგასამტეხლოს შესრულების ღირებულების ან მისი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა. „პირგასამტეხლოს მიზანია კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენა და არა გამდიდრება, შესაბამისად, პირგასამტეხლო უნდა იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული²². პირგასამტეხლოს დაკისრებით უნდა მოხდეს კრედიტორის დანაკარგების კომპენსირება და არა მისი გამდიდრება. ამით აიხსნება ის, რომ ზოგადი წესით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება იმ ფარგლებში, რომელიც ვერ დაიფარა

⁷² თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება., N28/1268-12

⁷³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, N28/1569-10

პირგასამტეხლოთი. აქედან გამომდინარე სასამართლომ უნდა შეაფასოს პირგასამტეხლოსა და მოვალის მიერ დაშვებული დარღვევით გამოწვეული შედეგების თანაფარდობა. ამასთან, დარღვევის შედეგებს მიეკუთვნება არა მხოლოდ ქონებრივი ზიანი, არამედ კრედიტორის არაქონებრივი უფლებებისადმი მიყენებული ზიანი. პირგასამტეხლოს შემცირების კანონისმიერი შესაძლებლობა ემსახურება სახელშეკრულებო ურთიერთობებში იმ სუსტი მხარის ინტერესების დაცვას, რომელიც ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას ვერ აცნობიერებს პირგასამტეხლოს შინაარსსა და მის თანმდევ სამართლებრივ, თუ ეკონომიკურ შედეგებს. შესაბამისად, პირგასამტეხლოს შემცირებისას, მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება, თუ რამდენად აცნობიერებდა მითითებულ პირობას მხარე ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას. ამდენად, თუ მხარე აღჭურვილია ადვოკატით, სამეწარმეო ურთიერთობებში გამოცდილი სუბიექტია და ა. შ. ივარაუდება, რომ ასეთ ვითარებაში შეთანხმებული პირგასამტეხლო, თუნდაც, შეუსაბამოდ მაღალი, შეესაბამება მხარეთა ნამდვილ ნებას და შემცირებას არ ექვემდებარება.⁷⁴

⁷⁴ „პირგასამტეხლო (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა)“, ქ. მესხიშვილი., გვ. 10

დასკვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შემიძლია ვთქვა, რომ მიუხედავად ხარვეზებისა, ისეთი მექანიზმების გამოყენებამ როგორცაა არბიტრაჟი და დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიული საშუალებები, შესაძლოა შეამციროს საერთო სასამართლოში საქმეთა ნაკადი და ხელი შეუწყოს ხელშეკრულებათა უფრო სწრაფ აღსრულებას. რასაკვირველია, არსებობს რიგი პრობლემებისა, რომლებიც უნდა აღმოიფხვრას საარბიტრაჟო კანონმდებლობის დახვეწისა და რეფორმის გზით. საუბარია საარბიტრაჟო მონაწილეების მხრიდან სამართლის პრინციპების დარღვევაზე, ასევე საარბიტრაჟო ტრიბუნალის მხრიდან რიგ შემთხვევებში კანონიდან აცდენა და მონაწილეთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა. ვფიქრობ, საჭიროა საქართველოს კანონის „არბიტრაჟის შესახებ“ უფრო დახვეწა და დაკონკრეტება რიგი პრობლემური საკითხებისა, რათა დღევანდელ დღეს არსებული ხარვეზები მომავალში თავიდან იყოს აცილებული. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები თანამედროვე საქართველოს ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდება და უფრო მეტ ადამიანს იზიდავს თავისი მოქნილი და ეფექტური სისტემით. ჯერჯერობით, საარბიტრაჟო სამართალზე და საარბიტრაჟო პრაქტიკაზე საკმაოდ მწირი მასალაა ხელმისაწვდომი და ვფიქრობ, რომ აღნიშნული ნაშრომი ქართველი სტუდენტებისთვის, პრაქტიკოსი იურისტებისა და დაინტერესებული პირებისთვის საინტერესო მასალა იქნება, რათა უკეთ გაეცნონ არბიტრაჟის და საარბიტრაჟო პროცესის ძირითად თავისებურებებს.

ბიბლიოგრაფია

1. ICCA-ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ იორკის კონვენციის განმარტებაზე., ჰააგა., 2011 წ.
2. „არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში“, თბილისი, 2018 წ.
3. „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება“-ლ. გოთუა., თბილისი., 2010 წ.
4. „გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის.,2017 წ.
5. „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის“, თბილისი., 2012 წ.
6. „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“- ნ.ფიცხელაური., თბილისი 2015 წ.
7. „გზამკვლევი არბიტრაჟში სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის“, 2017 წ.
8. „საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები“- გ.ცერცვაძე.,თბილისი., 2008 წ.
9. „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში“- ს. ოსტერმილერი., დ. სვენსონი., 2014 წ.
10. „პირგასამტეხლო (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა)“ - ქ. მესხიშვილი.,
11. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, ვ. ხრუსტალი, თ. ლილუაშვილი, 2007 წ.
12. . Клеандров М.И. - Арбитражный процесс: учебник (institutiones)., 2006 წ.,
13. Янков В.В. развитие системы экономического правосудия России сквозь призму общемировых тенденций// актуальные проблемы науки и практики коммерческого права., 2005 წ.,
14. Ануфриева Л.П. международное частное право, трансграничные банкротства, международный коммерческий арбитраж, международный гражданский процесс, том 3.,учебник "БЕК ", Москва 2001
15. théorie générale du droit“- jean-louis berge, („სამართლის თეორია“ - ჟან ლუი ბერგელი)1999 უ.
16. „არბიტრაჟის ინსტიტუტის განვითარება კერძო სამართალურთიერთობის მონაწილეთა კანონიერი ინტერესების დასაცავად“., თბილისი 2012 წ.,
17. თოთლაძე ლ., გაბრიჩიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩაჩანიძე ე., განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბ., 2012,
18. საქართველოს არბიტრთა ასოციაციის არბიტრთა ეთიკის კოდექსი
19. „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, ი.გაგუა., თბილისი 2012 წ

20. GIAC საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი., საარბიტრაჟო წესები

21. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

22. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

23. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“

24. საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“

25. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“

25. შპს „საარბიტრაჟო სასამართლო ლეგის“ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება

26. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 იანვრის განჩინება., საქმე N 28/4923-15

27. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება N 28/1213-12

28. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, N28/294-10

29. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება., N28/1268-12

30. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, N28/1569-10